სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 ივნისი 2008 №139 (3363) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონი ესპანეთი

ჰიდინკმა სამგზავრს რაზმიდან ორი ადგილი ამოშალა

მეოთხეფინალი

დღეს

პორტუგალია — გერმანია

ხვალ

ხორვატია — თურქეთი

ზეგ

ჰოლანდია — რუსეთი

მაზეგ

მსპანეთი — იტალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგიაძეს ტრიბუნაზე გიგიაძე ენაცვლება

ვასილ გიგიაძე იმ ქალაქსა და გუნდს დაუბრუნდა, სადაც კარიერის საუკეთესო რამდენიმე სეზონი გაატარა. ქართველი ლეგიონერი, ვინც უკრაინაში კარგა ხნის წინ გადაბარგდა და სწორედ იქ თამაშისას საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებაც მიიქცია, ახლა ისევ სიმფეროპოლის „ტავრიაშია". ჩვენიანმა შემტევმა ყირიმელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჩაგდებული წინა სეზონის შემდეგ თავის გამოჩენას და შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას სწორედ „ტავრიაში" ეცდება. სიმფეროპოლში დაბრუნებულ ვასილ გიგიაძეს ჩვენი უკრაინელი კოლეგებიც შეხვდნენ და ეს ინტერვიუ ჩამოართვეს...

— ცხადია, ძალიან მიხარია „ტავრიაში" დაბრუნება, რომელსაც ჩემს გუნდად ვთვლი. აქ ოთხი სეზონი გავატარე და მაშინაც კი, როცა „კრივბასში" და „ნაფტოვიკში" ვთამაშობდი, სიმფეროპოლში სიამოვნებით ჩამოვდიოდი — თქვა ვასილ გიგიაძემ.

— „ტავრიაში" პირველად, როგორც ნახევარმცველი, ისე მოხვედით, ახლა კი თავდამსხმელად დაბრუნდით. რომელმა მწვრთნელმა შეგიცვალათ სათამაშო პოზიცია?

— ალექსანდრ იაშჩენკომ პირველივე მატჩში თავდასხმაში დამაყენა და მითხრა, შემტევად უფრო მჭირდებიო. მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ და სხვა რა გზა მქონდა. ეს 2000-01 წლების სეზონში მოხდა. ისე, საქართველოში ყოველთვის ფორვარდად ვთამაშობდი.

— „ტავრიაში" ოთხი სეზონი გაატარეთ. შემდეგ რუსულ „ურალანში" წახვედით, მაგრამ უკრაინაში მალევე დაბრუნდით და თამაში „კრივბასში" გააგრძელეთ. სიმფეროპოლის მსგავსად კი ქომაგთა პატივისცემა არც კრივოი როგში გაკლდათ. როგორ მოახერხეთ ერთი ქვეყნის ორი ქალაქის ქომაგთა სიმპათიის დამსახურება?

— როცა მოედანზე გავდივარ, იქ ყველაფერი მავიწყდება და მაქსიმალურად ვიხარჯები. ქომაგები კი ამას გრძნობენ და თავადაც მსიამოვნებს, მათგან ჩემი მისამართით განსაკუთრებული მუხტი რომ მოდის.

— „კრივბასიდან" რატომ წახვედით?

— „კრივბასიდან" მწვრთნელი კოსეჩივი წავიდა და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ბომბარდირთა შორის ვლიდერობდი, ძირითადი შემადგენლობა დამავიწყეს. მეწყინა, „კრივბასში" ჩემი დარჩენა უკვე უაზრობა იყო...

— „ნაფტოვიკში" როგორ აღმოჩნდით?

— მათ დახმარება მთხოვეს და დავთანხმდი.

— მაგრამ თქვენი საქმეები ვერც „ნაფტოვიკში" აეწყო — „ჩერნომორეცს" პენალტიც ვერ გაუტანეთ...

— ეს იყო ყველაზე ცუდი პერიოდი ჩემს კარიერაში. ეკლესიაში დავდიოდი და ვლოცულობდი, თანაც ძალიან ხშირად. მორწმუნე ვარ.

— „ნაფტოვიკის" მწვრთნელმა ჯერ ძირითად შემადგენლობას ჩამოგაშორათ, შემდეგ კი 18-კაციანი განაცხადიც დაგავიწყდათ. არ გიცდიათ მასთან საუბარი და საქმის გარკვევა?

— ვალერი მოროდოვთან ჯერ კიდევ „კრივბასში" ერთად ყოფნის პერიოდში გამირთულდა ურთიერთობა, მას ვერაფერი გავუგე.

— ასეთი ურთიერთობის პირობებში, რატომ არ დატოვეთ „ნაფტოვიკი" ზამთრის შესვენებისას?

— „ნაფტოვიკში" განათხოვრებული ვიყავი და იჯარის ვადა სეზონის ბოლოს მთავრდებოდა. ვცადე წასვლა, მაგრამ ვინ გამიშვა?! დუბლებთან ერთად ვვარჯიშობდი, მაგრამ თამაშის საშუალებას არც მეორე გუნდში მაძლევდნენ. იჯარის ვადის დამთავრებამდე დღეებს ვითვლიდი.

— „ნაფტოვიკში" ყოფნის პერიოდში სად ცხოვრობდით?

— სუმში ვცხოვრობდი ოჯახთან ერთად და ყოველდღე 70 კილომეტრის გავლა მჭირდებოდა, რათა მევარჯიშა. სხვა გზა არ მქონდა.

— უკრაინულ ფეხბურთში თქვენი სიტყვა გეთქმით, რითაც ბევრი ლეგიონერი ვერ დაიკვეხნის. წარმატების საიდუმლოს ვერ გაგვიმხელთ?

— რეჟიმს ვიცავ და ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები, ყოველთვის ვასრულებ მწვრთნელის მითითებებს. საიდუმლოც სულ ესაა.

— უკრაინის წინა ჩემპიონატს როგორ შეაფასებთ?

— გუნდების თამაშის დონე მეტნაკლებად გათანაბრდა და უკვე ძალიან რთულია გამარჯვებულის გამოცნობა. ნებისმიერ გუნდს შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება და, ცხადია, ასეთ ჩემპიონატში თამაშიც საინტერესოა...

— კარგა ხანია, საქართველოს ნაკრებში არ გამოუძახებიხართ. მიზეზი სათამაშო პრაქტიკის არქონაა?

— რა გაეწყობა... გაზაფხულზე საერთოდ არ მითამაშია და, ცხადია, მწვრთნელებს ჩემკენ არც გამოუხედავთ. თუმცა თუ ახალი სეზონიდან გოლების გატანას ისევ შევძლებ, იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის ყურადღებას დავიმსახურებ.

— ადრე, „ტავრიასა" და „კრივბასში" თამაშისას, უცხოეთში რამე სერიოზული წინადადება არ მიგიღიათ?

— რა თქმა უნდა, მქონდა რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ უკრაინიდან წასვლა არ მსურდა და, მით უმეტეს, არც ახლა მსურს — ოჯახი აქაურობას შეეჩვია, ორი პატარა გვყავს და მათთვის ახლა გარემოს გამოცვლა არ არის საჭირო. ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო წინადადება კი ბოლო დროს ბუქარესტის „რაპიდიდან" მქონდა, მაშინ გუნდის მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუს შვილი — რაზვანი იყო. შარშანწინ, ზაფხულში „რაპიდის" ხელმძღვანელებთან ჩავედი პირადი კონტრაქტის დეტალებზე მოსალაპარაკებლად, ყველაფერზე შევთანხმდით, მაგრამ მაშინ კოსევიჩმა გადაიფიქრა და „კრივბასიდან" აღარ გამიშვა.

— რვა წლის წინ სიმფეროპოლში თქვენს ტყუპისცალთან, სოსოსთან ერთად ჩამოხვედით. მისი საქმეები როგორ არის?

— მან ზედიზედ ორი ოპერაცია გაიკეთა და, იძულებული გახდა, ფეხბურთისთვის თავი დაენებებინა. ახლა სოსოც უკრაინაშია, ყოველთვის ჩემ გვერდითაა და მეხმარება.

— თქვენი გარჩევა, მართლაც, ძნელია. ხშირად ერევით ერთმანეთში?

— დიახ, ძალიან ხშირად მომხდარა სახალისო ამბები.

— სიმართლე თქვით: თქვენ ნაცვლად, „ტავრიაში" სოსოს არასდროს უთამაშია?

— არა, რას ამბობთ?! მოედანზე ასეთი რამ არასდროს მომხდარა, სკოლაში, დაფასთან კი, იცოცხლეთ, ერთმანეთს ხშირად ვენაცვლებოდით.

— ერთხელ, ტრიბუნაზე სოსო იჯდა, ქომაგებს თქვენ ეგონეთ და ავტოგრაფები მოსთხოვეს...

— ყოველთვის ასეა ხოლმე, როცა სოსო ტრიბუნაზეა.

— და, ისიც სიამოვნებით არიგებს ავტოგრაფებს?

— აბა, რა ქნას?! სხვანაირად მავანი იფიქრებს, რომ გიგიაძე გაიბრიქა და ავტოგრაფების დარიგებას აღარ კადრულობს.

— „ტავრიაში" როგორ დაგხვდნენ?

— მიუხედავად იმისა, რომ ძველი გუნდიდან ახლა ცოტანი დარჩნენ, „ტავრიაში" ძალიან თბილად მიმიღეს.

— რა მიზნები აქვს „ტავრიას" მომავალ სეზონში?

— ჩვენ მალე ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მივიღებთ მონაწილეობას და ვეცდებით, არ შევრცხვეთ. ამას გარდა კი, ცხადია, უკრაინის ჩემპიონატსა და თასზეც ღირსეულად უნდა ვითამაშოთ. უფრო კონკრეტულად კი ჩვენს სამომავლო მიზნებზე, ალბათ, კლუბის ხელმძღვანელობა ისაუბრებს.

გ. დოლიძეს/ბ.ბერეზის ფოტო

ოლიმპს დაცვა დაეშალა

რუსთავის „ოლიმპი" რომ ახალ სეზონში საკმაოდ სახეშეცვლილი გუნდი იქნება, ეს ვიცით. სავარაუდოდ, მთლიანად შეიცვლება დაცვის ხაზი — როგორც შევიტყვეთ, გუნდიდან წავიდნენ სერგი ორბელაძე, მიხეილ მახვილაძე, ლევან სილაგაძე, ერნესტ აკუასაგა და დავით ჭიჭვეიშვილი. ამათგან არც ერთი მათგანი არ ჩარიცხულა სხვა კლუბში, ჯერჯერობით, ყველანი ძებნის პროცესში არიან. ერთი ეგ ვიცით, რომ ორბელაძე ალბათ უკრაინაში ეცდება თავის დამკვიდრებას, აკუასაგა კი, ყველაზე დიდი შანსია, „ზესტაფონში" გადავიდეს, სადაც წინა სეზონის მეორე წრე იჯარით გაატარა.

რაც შეეხება ახალწვეულებს, კოკა მიკუჩაძე, შოთა ბაბუნაშვილი, ლაშა ქებაძე, გია მეგრელაძე, კახა მახარაძე და კიდევ ორი შენაძენი ბოლო დღეებში გააკეთა „ოლიმპმა": თბილისის „დინამოდან" გიორგი ფეიქრიშვილი ინათხოვრა, „ვიტ ჯორჯიადან" კი თემურ ღონღლაძე. ღონღლაძემ წინა სეზონში ჯერ „ბორჯომში" იყო, შემდეგ კი ახალციხის „მესხეთში".

ილია ნანოგაშვილი

ელიზბარაშვილი: ლაციოს პატარა ქართველი

ლევან ელიზბარაშვილი

— ეს სახელი ფეხბურთის მოყვარულებს არაფერს ეუბნება, თუმც ვინძლო, მალე ხმაურიანად შევიტყოთ. ელიზბარაშვილი რომის „ლაციოში" ირიცხება, 1991 წელს დაბადებული შემტევი ნახევარმცველია.

როგორც ინტერნეტში ვნახეთ, ლევანი „ლაციოს" ახალგაზრდულ გუნდში, იქაურ პრიმავერაში თამაშობს.

ილია ნანოგაშვილი

აშვეთიამ აბრამოვიჩს გაუტანა

რუსებმა ქართველებს პრემიერლიგა უთხრეს

მახაჩყალის „ანჟიმ" სტუმრად იმ ბარნაულის „დინამოს" მოუგო, რომელიც რომან აბრამოვიჩის საკუთრებაა, ოღონდ, ცხადია, „ჩელსიით" არ უვლის და ეფოფინება.

ქართველების გუნდმა 3:1 იმარჯვა და მატჩის ბოლო გოლი მიხეილ აშვეთიამ მიითვალა. შედეგად, „ანჟი" ლიდერთა ჯგუფში კიდევ უფრო გამაგრდა და, სავარაუდოდ, პრემიერლიგაში გადასვლა აღარც უნდა გაუჭირდეს, ასე თვლიან რუსი მიმომხილველები.

ბარნაულელებთან აშვეთიამ, გიორგი ნავალოვსკიმ, ზურაბ არზიანმა და ვალერი აბრამიძემ სრულად ითამაშეს, გოჩა ხოჯავა 43-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო რევაზ ჯიქიამ მეორე ტაიმში იბურთავა. ქართველთაგან მხოლოდ რევაზ ბარაბაძე არ გამოჩენილა მინდორზე.

ილია ნანოგაშვილი

მიხეილ აშვეთია (მარცხნივ)

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შერჩევითი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა. VI ტური

ურუგვაი 6:0 პერუ

ბოლივია 4:2 პარაგვაი

ეკვადორი — კოლუმბია და ბრაზილია — არგენტინა გუშინ გვიან დასრულდა

პარაგვაი	6	4	1	1	13:5	13
არგენტინა	5	3	1	1	9:3	10
კოლუმბია	5	2	3	0	4:2	9
ურუგვაი	6	2	2	2	15:6	8
ბრაზილია	5	2	2	1	8:4	8
ვენესუელა	5	2	1	2	7:7	7
ჩილე	5	2	1	2	6:7	7
ეკვადორი	5	1	1	3	7:13	4
ბოლივია	6	1	1	4	7:17	4
პერუ	6	0	3	3	3:15	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინულსა და რუსულ პრესასაში კახა კალაძის ინტერვიუს ხშირად ნახავთ და ამჯერად „სოვეტსკი სპორტი“ ესაუბრა საქართველოს ნაკრების კაპიტანს. ანდრეი შევჩენკო, ნმანია ვიდიჩი, სტივ ჯერარდი, იოსი ბენაიუნი, კახა კალაძე... ამათ ის აერთიანებთ, რომ მათი ნაკრებები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ, არადა, თვითონ კი იმსახურებდნენ დიდ ტურნირეზე თამაშსო, წერს პოპულარული გაზეთი...

კახა კალაძე (მარცხნივ) და იტალიელი ვარსკვლავები

კახა კალაძემ 09 გაყიდა და ქალაქში ქალაქს აშენებს

— ესტონეთსა და პორტუგალიასთან სანაკრებო მატჩებში რატომ არ ითამაშეთ?

— მუხლის ტრავმა მაქვს. ოპერაციამ, რომელიც 13 წლის წინ გავიკეთე, ახლა შემახსენა თავი. ალბათ, იტალიაში გავიკეთებ ოპერაციას და რამდენიმე თვე გამიცდება.

— ევროპის ჩემპიონატზეც ვილაპარაკოთ: არ გწყინთ, რომ ის კვლავ თქვენ გარეშე ჩაივლის?

— ყველა ფეხბურთელს სურს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაში, მაგრამ მე ჩივილს მიჩვეული არ ვარ.

— ვის გულშემატკივრობთ ევროპაზე?

— მგონი, არ გაგიკვირდებათ — იტალიას.

— იტალია თქვენთვის მეორე სამშობლო გახდა?

— ძნელი სათქმელია. უფრო არა... ყოველთვის ქართველად დავრჩები, იტალიის ნაკრების გულშემატკივრობისას ნერვების დაწყვეტას არ ვაპირებ, უბრალოდ, იქ ბევრი ჩემი მეგობარია — ესაა და ეს.

— რუსეთის ნაკრებზე რას იტყვით?

— ვერც შევაქებ და ვერც გავლანძღავ, რადგან შესარჩევში მისი არც ერთი მატჩი არ მინახავს. თუმც რუსეთი ფინალურ ეტაპზე მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გუს ჰიდინკს კარგი გუნდი ჰყავს.

— როდის ნახეთ ბოლოს რუსეთის თამაში?

— 2003 წლის 30 აპრილს, თბილისში. მაშინ 1:0 მოვუგეთ.

— მას შემდეგ რუსულმა ფეხბურთმა დიდ წარმატებებს მიაღწია — ცსკამ და „ზენიტმა“ უეფას თასი მოიგეს...

— გეთანხმებით, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ვნახე „ზენიტ“ — „რეინჯერსის“ ფინალი და სანკტ-პეტერბურგელებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს.

— რუსეთის რომელიმე კლუბმა მიმზიდველი წინადადება რომ შემოგთავაზოთ, დათანხმდებით?

— არა მგონია. „მილანთან“ 2011 წლამდე მაქვს კონტრაქტი — სიმართლე გითხრათ, „მილანის“ ფეხბურთელის რანგში მინდა კარიერის დასრულება.

— კეთილი. „მილანზე“ თავად დაიწყეთ ლაპარაკი და როგორ შეაფასებთ გასულ სეზონს?

— პირველ ნახევარში „მილანი“ უკეთ გამოიყურებოდა, საკონტინენტთაშორისო თასი მოვიგეთ და სერია A-შიც არცთუ ცუდად გამოვიყურებოდით. მერე კი... არ ვიცი, რატომ, მაგრამ „მილანში“ ჩემი ყოფნის პერიოდში უცუდესი სეზონი გამოდგა, თუმც პანიკა არ ღირს. ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

— სამაგიეროდ, „მილანის“ გულშემატკივრები არიან პანიკაში...

— მომდევნო სეზონი რთული იქნება, მაგრამ მიზნად გვაქვს, 2009 წელს ყველა ტურნირი მოვიგოთ. მათ შორის, უეფას თასიც.

— გუნდში რაღაც უნდა შეიცვალოს?

— ეს უკვე ხელმძღვანელობას უნდა ჰკითხოთ, თუმცა, ვფიქრობ, რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელს იყიდიან.

— მაგალითად, 30 წლის დიდიე დროგბას? ეს რა პოლიტიკაა, „მილანი“ ასაკოვან ფეხბურთელებს უფრო ხშირად ყიდულობს...

— პირველ რიგში, „მილანი“ კლასიან ფეხბურთელებს ყიდულობს და მერე უყურებს მათ ასაკს. 35 წლის ფეხბურთელსაც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. თუმცა ვერ დაგეთანხმებით, თითქოს გადაბერებული გუნდი გვყავდეს — „მილანში“ ბევრი ახალგაზრდაცაა.

— რომელ პოზიციაზე სჭირდება „მილანს“ გაძლიერება?

— კაფუ და სერჟინიო მიდიან, ჯილარდინო „ფიორენტინაში“ გადადის. ალბათ, ლოგიკურია, სწორედ მათი შემცვლელები მოინახოს.

— ბოლო ტურში „მილანს“ ჰქონდა მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი. ეს იმ შემთხვევაში, თუ „ტორინო“ „ფიორენტინასთან“ არ წაგებდა. სასწაულის იმედი გქონდათ?

— მხოლოდ პატარა იმედი. „ტორინოს“ ხომ სატურნირო მოტივაცია არ ჰქონდა.

— „მილანმა“ რატომ არ შესთავაზა პრემიალურები „ტორინოს“?

— ვერ გეტყვით...

— კარლო ანჩელოტი რჩება „მილანში“? ბევრი სპეციალისტი ჩავარდნილ სეზონს მას აბრალებს...

— მე ვერ შევუერთდები ანჩელოტის კრიტიკოსებს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და დამიჯერეთ, კიდევ აიღებს ტიტულს „მილანთან“ ერთად.

— ანჩელოტი არაფერ შუაშია, გუნდი გადაბერებული არ არის.... აბა, რა მიზეზიღა რჩება? კალჩოპოლი ხომ არა?

— არა. მე უკვე დავივიწყე ეს სკანდალი. კალჩოპოლის მერე ჩემპიონთა ლიგა და სუპერთასი მოვიგეთ, ასე რომ...

— იტალიაში ბევრს ლაპარაკობენ ცუდ მსჯობაზე. რას იტყვით?

— მათ მიმართ პრეტენზიები არ მაქვს. კი, იყო მატჩები, რომლებშიც შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ ეს ხდება.

— არ მოგჩვენებია, რომ მსაჯები „ინტერს“ ბიძგს აძლევდნენ?

— „ინტერის“ რამდენიმე მატჩმა ეჭვები გააჩინა, თუმც ყველა ამ შეხვედრაში ახალგაზრდა მსაჯები იყვნენ. საერთოდ, კალჩოპოლის მერე ახალგაზრდა მსაჯების დაწინაურება მოდაში შემოვიდა.

— თქვენი მეგობარი ანდრეი შევჩენკო „ჩელსიშია“, თუმც აღიარა, რომ იტალიაში დაბრუნება სურს. როგორ ფიქრობთ, აქვს ანდრეის ამის შანსი?

— ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ მე ძალიან მინდა, რომ შევჩენკო „მილანში“ დაბრუნდეს.

— რატომ არ წაუვიდა მას თამაში „ჩელსიში“?

— ჩვეულებრივ, როცა ფეხბურთელი ახალ გუნდში მიდის, მას თანაკლუბელები ეხმარებიან სიტუაციის შეგუებაში, „ჩელსიში“ კი უკუღმა მოხდა — ანდრეისი შურდათ! „შევა“ ლონდონში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის რანგში ჩავიდა და ერთადერთი, ვინც ის კარგად მიიღო, რომან აბრამოვიჩია. ის ანდრეის მეგობარია. აი, ჟოზე მაურინიუსთან კი ურთიერთობა ვერ ააწყო, მას არ უშვებდნენ მინდორზე, რის გამოც ფორმა დაკარგა.

— „მილანის“ ზოგი ფეხბურთელი შევჩენკოს დაბრუნებას რატომ ეწინააღმდეგება?

— მაგალითად, ვინ?

— პაოლო მალდინიმ ინტერვიუში თქვა, ანდრეი როგორ ულამაზოდაც წავიდა „მილანიდან“, ისევე ულამაზოდ სურს დაბრუნებაო...

— ბოდვაა და მეტი არაფერი. ეს იტალიელი ჟურნალისტების მონაგონია. „მილანში“ გაუხარდებათ შევჩენკოს დაბრუნება.

— სექტემბერში საქართველოს ნაკრებს მუნდიალ-2010-ის შესარჩევი ციკლი ეწყება. როგორ შეაფასებთ თქვენი ნაკრების შანსს?

— ვფიქრობ, წინა შესარჩევთან შედარებით უკეთესი შედეგი გვექნება. „სკუადრა აძურას“ გარდა, ჯგუფში ყველა ნაკრები თითქმის თანაბარი დონისაა.

— ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი?

— არ ვიცი. ლაპარაკი ბევრზეა...

— ლევან კობიაშვილმა გვითხრა, რომ საქართველოს ნაკრებს გერმანელი გაწვრთნის...

— სერიოზულად? პირველად მესმის. ვიცი, რომ თემურ ქეცბაიაზეა ლაპარაკი, თუმც ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს უცხოელი სჭირდება. სიმართლე გითხრათ, საქართველოში კვალიფიცირებული მწვრთნელების დეფიციტია.

— კლაუს ტოპმიოლერი არ იყო ცუდი ვარიანტი, 2002 წელს „ლევერკუზენი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა. რატომ გაუშვეს?

— იმიტომ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიზნად ევრო-2008-ზე გასვლა დაუსახა. კლაუსმა ეს ვერ მოახერხა და გაუშვეს კიდეც, თუმც ის მაღალი დონის მწვრთნელია.

— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— თითქმის არ მაქვს თავისუფალი დრო. თუ მაქვს, უმეტესად მეგობრებთან და მშობლებთან ერთად ვატარებ.

— თქვენს ბიზნესზე მოგვიყვით...

— მილანში რესტორანი მაქვს — „ჯანინო“. იქ სხვადასხვა ვიპსტუმრები მოდიან: სილვიო ბერლუსკონი, „მილანის“ და სხვა კლუბების ფეხბურთელები, იტალიელი ბიზნესმენები...

— სამზარეულო როგორია?

— იტალიური. თუმცა მენიუში ქართული ღვინოცაა.

— როგორც ვიცი, მილანში ტანსაცმლის მაღაზიაც გაქვთ...

— მე და ალესანდრო ნესტას მოდური მაღაზიის 50-50-პროცენტიანი წილი გვაქვს. ეს ძალიან სარგებლიანი ბიზნესია, რადგან იტალიაში ყოველი მეორე ადამიანი ჩაცმის დიდი მოყვარულია.

— კიდევ რა ბიზნესგეგმები გაქვთ?

— თბილისში პატარა უბანს ვაშენებ — ისეთს, როგორიც მოსკოვში „რუბლიოვკაა“. იქ იქნება სამინისტრო, მთავრობის სახლი, სასტუმროები, კაზინოები და საცხოვრებელი სახლები.

— შთამბეჭდავია. დიდძალი თანხა დაგჭირდებათ...

— ჯერ არ ვიცი... მშენებლობა არ დაწყებულა, ყველაფერი მზად იქნება 10 წლის შემდეგ. კიდევ, კიევში სასტუმრო და მოდების ჟურნალი მაქვს.

— და ფეხბურთის თამაშს როგორღა ასწრებთ...

— ბევრი ბიზნეს-პარტნიორი მყავს.

— ფულის დასახარჯად დრო საერთოდ გრჩებათ?

— ძალიან მიყვარს მანქანები. ახლახან „ბენტლი“ ვიყიდე, კოლექციაში „პორშე“ და „ფერარიცაა“...

— პირველად რა მარკის მანქანა გყავდათ?

— „09“. ჩემით შევაგროვე ფული და ვიყიდე. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ...

მუჯირი და ავსტრია

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი დავით მუჯირი, რომელიც 2001-06 წლებში ავსტრიულ „შტურმში“ თამაშობდა, თვლის, რომ ავსტრიის ნაკრები ძალიან ახალგაზრდული იყო საიმისოდ, რათა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში გერმანელები დაემარცხებინა.

„ავსტრიელებს ძალიან ახალგაზრდა გუნდი ჰყავთ. უფრო საინტერესო იქნებოდა, მოგება გერმანელებისთვისაც აუცილებელი რომ ყოფილიყო. თორემ ისე ჩანდა, ერთ გუნდს გოლის გატანა არ სჭირდებოდა, ხოლო მეორეს — არ შეეძლო. მიხაელ ბალაკმა გოლი ჯარიმიდან გაიტანა და ამით ყველაფერი დასრულდა. ისეთი თამაშით, როგორიც გერმანელებმა ავსტრიასთან აჩვენეს, ევროპის ჩემპიონობა გაუჭირდებათ“ — განუცხადა მუჯირმა რუს ჟურნალისტებს და შემდეგ ორიოდე სიტყვით „შტურმის“ ფეხბურთელებზეც ისაუბრა...

„ავსტრიელთა ექვს ფეხბურთელს ძალიან ახლოს ვიცნობ, „შტურმში“ ერთად ვთამაშობდით. ორი წლის განმავლობაში ავსტრიელები მხოლოდ ამხანაგურ თამაშებს ატარებდნენ და ამიტომ, ნაკრების ახალგაზრდა თაობა ოფიციალური ტურნირების დაძაბულ ატმოსფეროს მიჩვეული არ არის. ავსტრიელთა მწვრთნელი მუდმივად ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში იყო და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ევრო 2008-ზე ავსტრიელთა გუნდში სამივე შეხვედრა მხოლოდ შტრანცლმა და პოგატეცმა ჩაატარეს“.

და კიდევ: მუჯირის აზრით, ავსტრიელებმა ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტზე იოზეფ ჰიკერსბერგერი უნდა დატოვონ...

„არ ველოდი, რომ ავსტრიელები ასეთი მონდომებით ითამაშებდნენ. მათ ხორვატები დაჩაგრეს, ხოლო პოლონელებთან ვალდებულნი იყვნენ, გაემარჯვათ. ჰიკერსბერგერს ავსტრიაში დიდი ავტორიტეტი აქვს, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე მისი შეგირდების მიერ გატანილი ერთადერთი გოლი, ცხადია, საუკეთესო შედეგი არ არის“.

კახა შალამბერიძე

NBA პლეი ოფი. ფინალი. მეექვსე მატჩი



ბოსტონური გაზაფხული გაცოცხლდა, გამწვანდა

17 ივნისი. ბოსტონი

ბოსტონი 4:2 ლეიკერსი

ბოსტონი 131:92 ლეიკერსი

24:20 34:15 31:25 42:32

ბოსტონი: რონდო (21 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 6 ჩაჭრა), რ. ალენი (26), პირსი (17 ქულა, 10 პასი), გარნეტი (26 ქულა, 14 პასი), პერკინსი (2); პოუზი (11), ჰაუსი (9), პოუი (8), ბრაუნი (6), დევისი (3), ტ. ალენი (2)
ლეიკერსი: ფიშერი (7), ბრაიანტი (22), რადმანოვიჩი (6), ოდომი (14 ქულა, 10 მოხსნა), გასოლი (11); ფარმარი (11), უოლტონი (8), ჯუიაჩიჩი (7), არიზა (3), ტურიაფი (2)

17 ივნისს „ბოსტონ სელტიქსის" დარბაზ „ბანკნორს გარდენში" ყველაფერი მწვანედ ხასხასებდა: საიდანღაც მწვანე ბრჭყვიალები იფრქვეოდა, მწვანედ შეღებილი ხალხი ტრიბუნებიდან ფიცარნაგზე ჩამოვარდნილიყო, თვით ლოსანჯელესელებსაც თავის კობიბრაიანტიანად მწვანე დასდებოდათ. ოღონდ ისინი აშკარად ზედმეტად გრძნობდნენ თავს მწვანე ხალხის ზღვაში, გამარჯვებულებს მიულოცეს და მალევე გაეცალნენ იქაურობას.

„სელტიქსთან" ერთად მთელი ქალაქი ბოსტონი მოუთმენლად ელოდა ამ წუთებს. „ლეიკერსმა" ფინალური სერიის მეხუთე თამაში რომ მოიგო და ჩამორჩენა 2:3 შეამცირა, მისი ლიდერი კობი ბრაიანტი და მწვრთნელი ფილ ჯეკსონი გასვლაზე საბრძოლველად რაზმავდნენ გუნდს. კობიმ კარგადაც დაიწყო ბოლო შეხვედრა, პირველი ხუთი სროლიდან ოთხი ჩააგდო და პირველ მეოთხედში გაამლებინა „ლეიკერსს", მაგრამ რაც მერე მოხდა, ამას არ შეიძლება ეწოდოს თამაში. მწვანე ზვირთმა პაწაწკინტელა ნავივით ჩაყლაპა „ლეიკერსი" და დაშლილ-დალეწილი ზედაპირზე ნაფოტებად ამოატივტივა. ყოყლოჩინა კობი ბრაიანტისგან აღარაფერი დარჩენილიყო. ნბა-ს უკაშკაშესი ვარსკვლავი ჩვეულებრივ ზანგ ბიჭამდე დაპატარავებულიყო და ერთი სული ჰქონდა, გასახდელისთვის თავი შეეფარებინა.

ეს იყო ხოცვა-ჟლეტა. „სელტიქსმა" 39 ქულით წალეკა „ლეიკერსი", ვინაც სერიის დაწყებამდე 70-პროცენტიან ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ბრაიანტს და მისიანებს შემართება არ ეყოთ, ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ჯიგრიანი და ბოლომდე მიმწოლი „სელტიქსის" მწვანე აურის დასაძლევად. ნბა-ს 62 ფინალურ სერიაში გამართული 466 მატჩიდან ამაზე დიდი სხვაობით დასრულდა ერთადერთი, როცა 1998 წლის ფინალური სერიის ერთ-ერთ შეხვედრაში „ჩიკაგომ" 96:54 გაანადგურა „იუტა".

და დაბრუნდა სიხარული ამერიკის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში. ბოსტონელთა სიამაყე „სელტიქსი" ლარი ბერდის შემდგომ ეპოქაში პირველად გახდა ჩემპიონი და 16 ტიტულს 22-წლიანი პაუზის შემდეგ მე-17 წაამატა. თავად ლარი-ლეგენდა იქ არ ყოფილა, ის ახლა ხომ „ბოსტონის" ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს „ინდიანას" ხელმძღვანელობს, სხვანი კი ბევრნი იყვნენ ძველები და ამ მხცოვან ბერიკაცებსაც ბავშვებივით უხაროდათ.

„სელტიქსმა" „ლეიკერსის" ჩაგვრა რომ დაამთავრა და ფიცარნაგს მწვანე სიხარულის ტალღა რომ დაეცა, „ბოსტონის" ახმახი ლიდერი კევინ გარნეტი ლამის ნახევარღმერთად ქცეულ ბილ რასელს მიეჭრა და 74 წლის ბერიკაცს კისერზე ჩამოეკიდა. „ახლა მე ჩემი საკუთარი საჩემპიონო ბეჭედი მაქვს. იმედია, სიამაყე მოგანიჭეთ" — ჩაჰყვიროდა გარნეტი რასელს ყურში. „მომანიჭეთ, აბა, რა!" — ბედნიერი სახით კვერს უკრავდა რასელიც, ვინაც თავის დროზე 11-ჯერ გაჩემპიონა „ბოსტონ სელტიქსი".

ირაკლი ფირაუზვილი


ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშე პოლ პირსი

შამპანურში ნაბანავები „სელტიქსის" დიდი სამეული — კევინ გარნეტი, რეი ალენი და პოლ პირსი

პლეი ოფის ფინალების ყველა MVP

1969 ---------- ჯერი ვესტი (ლეიკერსი)
1970 ---------- ვილის რიდი (ნიუ იორკი)
1971 ------ ქარიმ აბდულ ჯაბარი (მილუოკი)
1972 -------- უილტ ჩემბერლენი (ლეიკერსი)
1973 ---------- ვილის რიდი (ნიუ იორკი)
1974 ---------- ჯონ ჰავლიჩეკი (ბოსტონი)
1975 ---------- რიკ ბერი (გოლდენ სტეიტი)
1976 ---------- ჯო ჯო ვაიტი (ბოსტონი)
1977 ---------- ბილ უოლტონი (პორტლენდი)
1978 ---------- ვეს ანსველდი (ვაშინგტონი)
1979 ---------- დენის ჯონსონი (სიეტლი)
1980 ---------- „მეჯიკ" ჯონსონი (ლეიკერსი)
1981 ---------- სედრიკ მაქსველი (ბოსტონი)
1982 ---------- „მეჯიკ" ჯონსონი (ლეიკერსი)
1983 ------- მოზეს მელოუნი (ფილადელფია)
1984 ---------- ლარი ბერდი (ბოსტონი)
1985 ----- ქარიმ აბდულ ჯაბარი (ლეიკერსი)
1986 ---------- ლარი ბერდი (ბოსტონი)
1987 ---------- „მეჯიკ" ჯონსონი (ლეიკერსი)
1988 ---------- ჯეიმს უორტი (ლეიკერსი)
1989 ---------- ჯო დუმარსი (დეტროიტი)
1990 ---------- აიზეია ტომასი (დეტროიტი)
1991 ---------- მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1992 ---------- მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1993 ---------- მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1994 ---------- ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი)
1995 ---------- ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი)
1996 ---------- მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1997 ---------- მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1998 ---------- მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1999 ---------- ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2000 ---------- შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2001 ---------- შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2002 ---------- შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2003 ---------- ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2004 ---------- ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი)
2005 ---------- ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2006 ---------- დუეინ ვეიდი (მაიამი)
2007 ---------- ტონი პარკერი (სან ანტონიო)
2008 ---------- პოლ პირსი (ბოსტონი)

ყველა ფინალი

1947 ---------- ფილადელფია 4:1 ჩიკაგო
1948 --------- ბალტიმორი 4:2 ფილადელფია
1949 ---------- ლეიკერსი 4:2 ვაშინგტონი
1950 ---------- ლეიკერსი 4:2 სირაკუზი
1951 ---------- როჩესტერი 4:3 ნიუ იორკი
1952 ---------- ლეიკერსი 4:3 ნიუ იორკი
1953 ---------- ლეიკერსი 4:1 ნიუ იორკი
1954 ---------- ლეიკერსი 4:3 სირაკუზი
1955 ---------- სირაკუზი 4:3 ფორტ ვეინი
1956 --------- ფილადელფია 4:1 ფორტ ვეინი
1857 ---------- ბოსტონი 4:3 სენტ ლუისი
1958 ---------- სენტ ლუისი 4:2 ბოსტონი
1959 ---------- ბოსტონი 4:0 ლეიკერსი
1960 ---------- ბოსტონი 4:3 სენტ ლუისი
1961 ---------- ბოსტონი 4:1 სენტ ლუისი
1962 ---------- ბოსტონი 4:3 ლეიკერსი
1963 ---------- ბოსტონი 4:2 ლეიკერსი
1964 ---------- ბოსტონი 4:1 სან ფრანცისკო
1965 ---------- ბოსტონი 4:1 ლეიკერსი
1966 ---------- ბოსტონი 4:3 ლეიკერსი
1967 ----- ფილადელფია 4:2 სან ფრანცისკო
1968 ---------- ბოსტონი 4:2 ლეიკერსი
1969 ---------- ბოსტონი 4:3 ლეიკერსი
1970 ---------- ნიუ იორკი 4:3 ლეიკერსი
1971 ---------- მილუოკი 4:0 ბალტიმორი
1972 ---------- ლეიკერსი 4:1 ნიუ იორკი
1973 ---------- ნიუ იორკი 4:1 ლეიკერსი
1974 ---------- ბოსტონი 4:3 მილუოკი
1975 ------ გოლდენ სტეიტი 4:0 ვაშინგტონი
1976 ---------- ბოსტონი 4:2 ფინიქსი
1977 --------- პორტლენდი 4:2 ფილადელფია
1978 ---------- ვაშინგტონი 4:3 სიეტლი
1979 ---------- სიეტლი 4:1 ვაშინგტონი
1980 ---------- ლეიკერსი 4:2 ფილადელფია
1981 ---------- ბოსტონი 4:2 ჰიუსტონი
1982 ---------- ლეიკერსი 4:2 ფილადელფია
1983 ---------- ფილადელფია 4:0 ლეიკერსი
1984 ---------- ბოსტონი 4:3 ლეიკერსი
1985 ---------- ლეიკერსი 4:2 ბოსტონი
1986 ---------- ბოსტონი 4:2 ჰიუსტონი
1987 ---------- ლეიკერსი 4:2 ბოსტონი
1988 ---------- ლეიკერსი 4:3 დეტროიტი
1989 ---------- დეტროიტი 4:0 ლეიკერსი
1990 ---------- დეტროიტი 4:1 პორტლენდი
1991 ---------- ჩიკაგო 4:1 ლეიკერსი
1992 ---------- ჩიკაგო 4:2 პორტლენდი
1993 ---------- ჩიკაგო 4:2 ფინიქსი
1994 ---------- ჰიუსტონი 4:3 ნიუ იორკი
1995 ---------- ჰიუსტონი 4:0 ორლანდო
1996 ---------- ჩიკაგო 4:2 სიეტლი
1997 ---------- ჩიკაგო 4:2 იუტა
1998 ---------- ჩიკაგო 4:2 იუტა
1999 ---------- სან ანტონიო 4:1 ნიუ იორკი
2000 ---------- ლეიკერსი 4:2 ინდიანა
2001 ---------- ლეიკერსი 4:1 ფილადელფია
2002 ---------- ლეიკერსი 4:0 ნიუ ჯერსი
2003 ---------- სან ანტონიო 4:2 ნიუ ჯერსი
2004 ---------- დეტროიტი 4:1 ლეიკერსი
2005 ---------- სან ანტონიო 4:3 დეტროიტი
2006 ---------- მაიამი 4:2 დალასი
2007 ---------- სან ანტონიო 4:0 კლივლენდი
2008 ---------- ბოსტონი 4:2 ლეიკერსი

აღმასკომმა მოისმინა და თარიღი დათქვა

ბადრი ჯბილაძის ფოტო

გუშინ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ სეოკ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევნები წლეულს 31 ოქტომბერს ჩატარდება, პრეზიდენტობის მსურველებმა კი განაცხადა 31 აგვისტოდან უნდა შეიტანონ.

რაც ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო ბადრი პატარკაცი-შვილს იმპიჩმენტი მოუწყვეს და სეოკ-ის პრეზიდენტობიდან გადააყენეს, ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას დროებით გოგი თოფაძე თავკაცობდა, რომელიც პეკინის ოლიმპიადის შემდეგ პრეზიდენტობას აღარ აპირებს. „სურვილი არ მაქვს, კვლავ ვიყო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ჩემს პირად საქმეებს უნდა მივხედო და ზამთრის სახეობების ფედერაციის თავკაცობას მეტი დრო დავუთმო“ — განაცხადა გოგი თოფაძემ. ოფიციალურად არა, მაგრამ პრეზიდენტობის სურვილი კულუარულად გამოთქვა ახლანდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.

გუშინ სხვა საკითხებიც განიხილეს და აღმასკომის სხდომა სულ ღიღინ-ღიღინით ჩატარდებოდა, რომ არა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე, რომელმაც სხდომის ბოლოს უცნაური განცხადება გააკეთა: „აღმასკომს ვთხოვ, გაფრთხილება მისცეს თავისუფალი სტილით მოჭიდაველთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს. მე შარშან გადავწყვიტე, კარიერა დამესრულებინა, მაგრამ გადავფიქრე და ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ნაკრებში ადგილი ღირსეულად მომეპოვებინა, ზაზა თურმანიძე კი შეგნებულად მიკეთებდა ინსინუაციებს და შანსი არ მომცა“.

როდესაც ლუკა კურტანიძე ამას ამბობდა, დარბაზში ზაზა თურმანიძეც იჯდა, თუმცღა არც იქ შეპასუხებია მომჩივანს და არც ჟურნალისტებისთვის გააკეთა კომენტარი. მეტის თქმა არც კურტანიძემ ისურვა, სხდომაც მალევე დასრულდა.

იქამდე კი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა პეკინის ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, უკვე ლიცენზირებული სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ფედერაციის ხელმძღვანელებისგან მოისმინა ანგარიში და ხშირ შემთხვევაში, საპასუხო აზრი არც გასჩენია.

მზადების შესახებ კი პირველმა ძიუდოს ნაკრების მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ისაუბრა. სხვათა შორის, ჩვენი ძიუდოს ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელიც ოლიმპიადაზე სრული შემადგენლობით გამოვა. *შოთა ხაბარელი:* „თავიდანვე გეტყვით, რომ მზადების პროცესში არანაირი პრობლემა არ შაგვქმნია. ყველაფერი ჩვენი გეგმის მიხედვით მიდის. ძალიან ნაყოფიერი შეკრებები გავიარეთ და კიდევ ვგეგმავთ. საბოლოო შეკრებას ყაზახეთში გავივლით. იქაური ჰავა და კლიმატი ძალიან ჰგავს ჩინეთისას და ეს ადაპტაციაში დაგვეხმარება. ჯერ არ გადამიწყვეტია, ვინ იჭიდავებს 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში. საბა გავაშელიშვილიც და გიორგი ბაინდურაშვილიც ღირსები არიან, პეკინში რომ წავიყვანო, მაგრამ, სამწუხაროდ, მათგან ერთზე უნდა გავაკეთო არჩევანი. ორივე ძიუდოისტს ერთი ტურნირი დარჩა საჭიდაო, საბოლოო გადაწყვეტილებას ამის მერე მივიღებ“.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩია დარბაზში არ იყო, რადგან შეგირდები სომხურ წახკაძარში ჰყავს შეკრებაზე. მის მაგივრად კი ჭიდაობის ფეერაციის პრეზიდენტმა *კახა გეწაძემ* ისაუბრა: „კი, ორივე სახეობაში ათი ლიცენზია გვაქვს, მეტიც შეგვეძლო, მაგრამ გახმაურებული გაუგებრობის გამო ერთი ლიცენზია დავკარგეთ. ჩეკინიდან აუცილებლად მედლებით დავბრუნდებით. ამის საფუძველს ბოლო ტურნირებზე ჩვენი მოჭიდავეების ნაჩვენები უპრეცედენტო შედეგები მაძლევს. თანაც ნაკრებებმა სრულფასოვანი შეკრებებიც გაიარეს, რომლის მსგავსი აქამდე არც ჰქონიათ, ეს კი ჩვენი სახელმწიფოს დამსახურებაა“.

ისე, ბადრი პატარაკაციშვილის პრეზიდენტობისას ნაკლები შეკრებები არ ყოფილა და არც ხარისხი იყო დაბალი.

ზაზა თურმანიძე, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი: „ჯერჯერობით თბილისში ვვარჯიშობთ. მზადებისთვის ხელის შემშლელი პირობები არ გვაქვს. ოთხი ლიცენზიანტი გვყავს და შეეცდებით, მაქსიმალური რაოდენობის მედლები მოვიპოვოთ. შეკრებებს ჩვენც სომხეთში, წახკაძორში გავივლით“.

თენგიზ მესხაძე, მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელი: „ექვსთვიანი „მშრალი“ პერიოდის შემდეგ ბოლო მომენტში მოვიპოვეთ ორი ლიცენზია და უფლება არ გვაქვს, მაქსიმალური შედეგისთვის არ ვიბრძოლოთ. ნიკოლოზ იზორიაც და კახა ჟვანიაც კარგ ფორმაში არიან. ჯერ ბათუმში გვექნება შეკრება, სადაც ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ვიზრუნებთ, მერე კი ჩვენც წახკაძორში წავალთ ორკვირიან შეკრებაზე“.

სომხეთშივე აპირებს მომზადებას ნინო სალუქვაძეც. *გივი ბოსტოლანაშვილი,* სროლის ფედერაციის გენ-მდივანი: „სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს ღია ტიპის სასროლეთი და არც შესაბამისი პირობებია. ამიტომ, იძულებულები ვართ, ნინო სალუქვაძე ერევანში გავუშვათ, სადაც თანამედროვე ტიპის ოლიმპიური ცენტრია“.

ვანო გრიქუროვი, ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელი: „წინა წლებთან შედარებით, ახლა ფინანსურად არ გვიჭირს, სამაგიეროდ, გვიჭირს კადრებში. თუ აქამდე გამოკვეთილი ლიდერი გიორგი ასანიძე გვყავდა და მისგან უეჭველ მედალს ველოდით, ახლა ვითარება სხვანაირადაა. თუმც პროგრესი აშკარაა. არსენ კასიბიევი მედლისთვის იბრძოლებს, ალბერტ კუზილოვი კი ხუთეულში უნდა მოხვდეს. ორ-სამ დღეში დავასახელებ მესამე ძალოსანს, რომელსაც ჩეკინში წავიყვან. არჩევანს რაულ ცირეკიძეს და გია მაჭავარიანს შორის გავაკეთებ. თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, რომელი წავიყვანო, მაგრამ არ მინდა, ავჩქარდე და შეცდომა დავუშვა“.

გაჩო სვანიძე

AMERITECH-ის აქცია
ევრო 2008 JVC-თან ერთად!

JVC
The Perfect Experience



ტექნიკა სახლისთვის
სიამოვნება მენეჯმენტი

მაიცანი გოლები და მიიღე საჩუქრები

ამერიტექი AMERITECH

აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

მეიძინე ტექნიკა Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC–თან ერთად“ მონაწილე!

I ეტაპი — ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008–ის და JVC-ის სიმბოლიკით.

II ეტაპი — დააგროვე 1500 გოლი – ამოიჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10–ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ–ერთი.

III ეტაპი — დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარულ სპორტ კაფეში ევრო 2008–ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

1 ლარი = 1 გოლი

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
ალმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა–ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სერვის ცენტრი: ალმაშენებლის 1345, ტელ.: 31 32 52

სერგო დათუკიშვილი

ბადრი ჯბილაძის ფოტო

დროებითი სკამის მაძიებელი

დათუკაშვილი სლოვენიაში წავიდა

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების წევრმა სერგო დათუკიშვილმა კლუბი გამოიცვალა. აქამდე ის გერმანულ „ლიუბეკში“ თამაშობდა, ახლა კი სლოვენიურ „გორენიეში“ გადავიდა.

ამჟამად სერგო შვედეთშია დასასვენებლად. აი, საქართველოს ხელბურთის ფედერეციაში კი დასვენებისთვის არ სცალიათ. როგორც იცით, პრეზიდენტის პოსტიდან თამაზ თევზაძის გადადგომის შემდეგ ფედერაციის მესაჭის ადგილი კვლავაც ვაკანტურია და მისთვის ფედერაციისვე გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე და განთქმული ქართველი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძე იბრძვიან.

ცხადაძე, ვინც ამჟამად ბიზნესითაა დაკავებული, ამბობს, ქართული ხელბურთი უფსკრულის პირასაა და ამან გადამწყვეტინა, პრეზიდენტობაზე მეყარა კენჭი. მისი პროგრამა კი ჩემპიონატის ოთხი გუნდიდან ექვსამდე გაზრდას და ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს, რაშიც ცხადაძეს მეგობრების იმედი აქვს.

ზურაბ კაკაბაძის კანდიდატურა კი საქართველოს ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა“ წარადგინა, ხოლო პროგრამას რაც შეეხება, კაკაბაძე ამბობს, პროგრამა ფედერაციაში უკვე გვაქვს და მის სრულად განხორციელებას შევეცდებიო.

ყრილობა 29 ივნისს ჩატარდება და მასზე არჩეული პრეზიდენტი დროებითი იქნება. „ნაღდ“ პრეზიდენტს კი ოლიმპიადის დასრულების მერე, სამი თვის ვადაში აირჩევენ და ის საქმეს 4-წლიანი ვადით გაუძღვება. სულ არჩევნებში 19 ხმოსანი სუბიექტი მიიღებს მონაწილეობას.

ლექსო მაისურაძე

ᲒᲐᲡᲙᲔ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲜᲐᲡᲙᲕᲐ

ᲑᲝᲚᲝ მზადება მიმდინარეობს უიმბლდონისთვის. წლის მესამე სლემტურნირის დაწყებამდე თითქმის აღარაფერი დარჩა და მეჩოგნეებიც ცდილობენ ბალახს გაითავისონ, რომ ლონდონში მეტ-ნაკლებად მომზადებული ჩავიდნენ. თუმც ამ კვირაში ბობოლებმა იუარეს კორტებზე გასვლა და დასვენება ამჯობინეს — სხვა საკითხია, თუ რამდენად მომზადებულები ხვდებიან ისინი კარს მომდგარ საჩოგბურთო ფორუმს. განსაკუთრებით ეს ქალ ტოპმეჩოგნეებს ეხება, რომელთა უმეტესობასაც წლეულს ბალახზე კინკილა მატჩიც კი არ უთამაშიათ.

მაგრამ მოდით ამის გამორკვევა თავად უიმბლდონს მივანდოთ, ჩვენ კი გუშინ კორტებზე დატრიალებულ ამბებს მივუბრუნდეთ. ამ კვირას ტურნირები ინგლისსა და ჰოლანდიაში იმართება. ოღონდ თუ ევროპის კუნძულოვან სახელმწიფოში მეჩოგნეები ორ ქალაქში არიან განაწილებულნი, ნიდერლანდებში კაცებსაც და ქალებსაც თავი ჰერტოგენბოშში მოუყრიათ.

კაცთა ტურნირების მიმოხილვით დავიწყებთ და მზერას პირველ რიგში ჰოლანდიას მივაპყრობთ, სადაც პირველი მოულოდნელობა უკვე მოხდა, როცა წრეშივე დაიფრინეს ტურნირის მეორე ნომერი რიშარ გასკე. ეს ფრანგი ნამეტან ამაზრზენ სეზონს ატარებს, რაც ახლაც დამტკიცდა, როცა ის თანამემამულე მარკ ჟიკელმა მიჩოგნა. არადა, აქამდე გასკეს მათი ორივე ურთიერთშეხვედრა მოეგო და ახლაც იმედიანად იყო გასული კორტზე, მაგრამ ჟიკელმა მეტოქეს თავისი მოწოდება არაფრის დიდებით არ დაანება. მართალია, არც თვითონ მოუკლავს თავი ბრეიკების კეთებით, მაგრამ ერთხელ ტაიბრეიკზე იხეირა, მეორედ კი ერთი ჩამოწოდება მაინც აართვა გასკეს და ლონდონში ცუდ ხასიათზე გაუშვა.

სამაგიეროდ, წინ მიიწევს პირველი ნომერი დავიდ ფერერი, რომელსაც ბალახის სპეციალისტობას ვერავინ დააბრალებს, მაგრამ მეოთხედფინალში მაინც გავიდა. აი, აქ კი ესპანელის იოლ ცხოვრებას ბოლო უნდა მოეღოს, რადგანაც მარიო ანჩიჩს ხვდება — ამ აყლაყუდა ხორვატს კი ჰოლანდიაში თამაში კარგად გამოდის. ბალკანელმა იქ 2005 და 2006 წლებში იჩემპიონა და ეგებ შარშან ჰეთ თრიქიც შეესრულებინა, მაგრამ ტრავმამ არ დაანება. ჰოდა, ანჩიჩი ახლა ეცდება შარშანდელის ანაზღაურებას.

ერთ-ერთი ფავორიტი დაიფრინეს ნოტინჰემშიც — თან აქაც მეორე ნომერი და ისევ ფრანგი. ამჯერად ეს უიღბლო ჰოლ-ანრი მატიო გახლდათ, მაგრამ გასკესგან განსხვავებით მისი ცოდვა თანამემამულეს არ აწევს. მატიო მარინ ჩილიჩმა დააშამათა, თუმც საამისოდ სამი სეტი კი დასჭირდა. ახალგაზრდა ხორვატმა ცუდად დაიყო და პირველი სეტი პირწმინდად წააგო, მაგრამ შემდეგ მატიო აშკარად დაჩაგრა და ტურნირიდან ნაადრევად დაითხოვა.

ისევ ჰოლანდიას მივუბრუნდეთ, ოღონდ ამჯერად ქალთა ტურნირს — აქ წინა კვირის ჩემპიონებს დაერივნენ და მალევე გააპანღურეს. ჯერ სამიოდ დღით ადრე ბარსელონაში თავისი მესამე ტიტულის მომგებ მარია კირილენკოს გაუსწორდნენ. ეს მისია რუმინელმა სორანა კირსტეამ იკისრა. შემდეგ კი ჯერი ბირმინჰემში ნაპირველევ კატერინა ბონდარენკოზე მიდგა, რომელიც ვეტერანმა ტაილანდელმა ტამარინ ტანასუგარნმა დაიფრინა, 6:3 6:3.

ისტბურნში კი მთავარი ის იყო, რომ ტრავმის გამო თამაშზე უარი თქვა ლინდსი დევენპორტმა. თუმც ამერიკელი უიმბლდონზე გამოსვლას მაინც მოახერხებს. ისე კი, ისტბურნელ მაყურებელს მაგრად არ გაუმართლა, რადგანაც ისინი ვარსკვალების ჩოგნაობის ხილვას ელოდნენ, მაგრამ ანა ივანოვიჩმა და მარია შარაპოვამ ერთი კვირით ადრე თქვეს თამაშზე უარი, აგერ ახლა კი არც დევენპორტმა ინება კორტზე გასვლა. ახალგაზრდა კანადელ კაროლინ ვოზნიაკის დამსხურებით კი ინგლისელებს არც სვეტლანა კუზნეცოვას ცქერა მოუწევთ — გუშინ რუსი 6:2 6:2 გადათელეს.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜ ᲕᲝᲖᲜᲘᲐᲙᲘ

ᲨᲐᲤᲐᲗᲐᲕᲐᲡ ᲤᲚᲝᲠᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲤᲐ

ᲡᲝᲤᲝ ᲨᲐᲤᲐᲗᲐᲕᲐ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ, სადაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი გრძელდება, ძირითად ბადეში მყოფი სამი ქართველიდან მეორე წრეში მხოლოდ ერთი, სოფო შაფათავა გავიდა.

შაფათავას მეტოქედ მე-4 ნომრად განთესილი იტალიელი, კლასიფიკაციის 255-ე საფეხურზე მყოფი ანა ფლორისი ჰყავდა და ქართველმა მასზე გაცილებით მაღალრეიტინგიან მოწინააღმდეგეს უიოლესად, 6:1 6:1 მოუგო.

მეორე წრეში სოფო 19 წლის შვეიცარიელს, კლასიფიკაციის 391-ე ნომერ სტეფანი ბოფას შეხვდება, რომელმაც რთულ ბრძოლაში 7:5 5:7 6:3 აჯობა კვალიფიკაციიდან წამოსულ ავსტრიელ ნიკოლა ჰოფმანოვას.

სამწუხაროდ, შაფათავას მხარი ვერ აუბეს მანანა შაფაქიძემ და სოფო ქვაცაბაიამ. ამათ ძირითად ბადეში თამაშის უფლება კვალიფიკაციის გავლით მოიპოვეს, მაგრამ მეტი ვერ შეძლეს — შაფაქიძე 3:6 7:6 4:6 დამარცხდა უზბეკ ვლადა ეკშიბაროვასთან, ქვაცაბაიამ კი 5:7 1:6 წააგო თურქული წარმოშობის გერმანელ ჯუსტინ ოზგასთან.

ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲑᲐᲓᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡᲔᲪ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ რა დღეშიცაა, კარგად მოგეხსენებათ და იმასაც შეგახსენებთ, უკრაინის ღია პირველობა რომ არა, რაც გვაქვს, ისიც განზე დაგვრჩებოდა. უკრაინის ღია პირველობა კი ის ტურნირია, სადაც მუდმივად ვთამაშობთ და არცთუ ურიგოდაც.

გუშინწინ შეჯიბრის ბოლო, მეოთხე ეტაპი დასრულდა, რომელზეც ჩვენმა ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა. პირველში სევასტოპოლის გუნდთან 8:10 დამარცხდა, მერე კი ხარკოვის დმკ-სთან ფრედ, 12:12 ითამაშა.

ამ მატჩებისთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ 11 წყალბურთელი იახლა: ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი ხვედელიანი, ნოდარ რაფავა, მიხეილ ბაღათურია, დავით ბაქრაძე, ზურაბ რურუა, ლუკა ტუკვაძე, სანდრო ჭრელაშვილი, ლევან ყაველაშვილი, გიორგი ჯოხაძე და ნიკა ასათიანი. ამათგან ლეგიონერი მხოლოდ ერთია — ნიკა ასათიანი, ვინც იტალიურ კლუბში თამაშობს.

საბოლოო ჯამში საქართველოს ნაკრებმა 12 გუნდს შორის მე-4 ადგილი დაიკავა, რაც, ისევ და ისევ, ქართული წყალბურთის დღევანდელი ყოფის გათვალისწინებით, ნორმალური შედეგია.

უკრაინული პირველობის პირველ ადგილზე კი მარიუპოლის გუნდი გავიდა, მეორეზე ხარკოვის დმკ, ხოლო მესამეზე — ლვოვის „დინამო“.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐ-ᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲣᲚᲘ ᲑᲐᲓᲔ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲣᲠ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ წყვილმა საქმ და რთველომ პლაჟის ფრენბურთის მსოფლიოს ტურის პარიზის ეტაპზე ძირითად ბადეში მოხვედრა შეძლეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენმა ფრენბურთელებმა ორივე მატჩის პირველი სეტი წააგეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში შემოაბრუნეს თამაში.

საქა და რთველო ჯერ ავსტრალიელების რომანოვსკი-რამესის ტანდებს დაუპირისპირდნენ და 2:1 (14:21, 21:16, 16:14) დაამარცხეს. შემდეგ კი საქართველოს წარმომადგენლებმა ჰოლანდიელებს კადიკს და მურენს მოუგეს — 2:1 (18:21, 21:13, 15:10).

პარიზის ეტაპზე კაცთა შორისაც გაიმართება მატჩები. ტურნირებზე ქართული წყვილი, გეორ და გიაც ითამაშებს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲘᲖᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

კიმის ფავორიტიც რაიკონენია



„უილიამ ჰილის“ საბუქმეიკერო კანტორამ კვირას „მანი კურის“ ავტოდრომზე გასამართი საფრანგეთის დიდი პრიზის მთავარ ფავორიტებად „ფერარის“ მრბოლები, ფინელი მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი და ბრაზილიელი ფელიპე მასა დაასახელა.

რაიკონენის გამარჯვებაზე „უილიამ ჰილი“ ფსონებს 2,1/1 კოეფიციენტით იღებს, ხოლო მასას კოეფიციენტი 2,87/1-ის ტოლია. ბუქმეიკერთა აზრით, სხვა გუნდების პილოტებს გამარჯვების გაცილებით ნაკლები შანსი აქვთ — ჩემპიონატის ლიდერის, „BMW-ზაუბერის“ პოლონელი პილოტის რობერტ კუბიცას კოეფიციენტი 8/1 არის, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი მძღოლის ლუის ჰემილტონის შანსი 9/1-ად ფასობს და ამათ უკან კი ჰემილტონის ფინელი თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი (13/1), კუბიცას გერმანელი თანაგუნდელი ნიკ ჰიდფელდი (21/1) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, „რენოს“ ესპანელი ფერნანდო ალონსო (21/1) მოდიან, დანარჩენებზე კი ლაპარაკიც არ ღირს.

„უილიამ ჰილის“ მიერ მთავარ ფავორიტად მიჩნეული რაიკონენი თავადაც უაღრესად ოპტიმისტურად არის განწყობილი და ბოლო ორ ეტაპზე (მონაკო და კანადა) უქულოდ დარჩენის შემდეგ, შეიძლება ითქვას რომ ზედმეტად მოტივირებულიც კი, მოუთმენლად ელის ფრანგულ რბოლას.

„თავადაც აღარ მახსოვს, ბოლოჯერ როდის მქონდა გამარჯვების ასეთი სურვილი. ჩვენ გვყავს მანქანა, რომელსაც ნებისმიერ ტრასაზე შეუძლია პირველობა, მაგრამ ბოლო რბოლები არცთუ წარმატებულად ჩავატარე — განაცხადა კიმიმ და დაამატა — უკან ყურება არ მიყვარს და არ ვფიქრობ იმაზე, რაც კანადაში მოხდა. შედეგს მაინც ვერ შევცვლი და ამიტომაც უმჯობესია, მომავალ რბოლაზე ვიფიქრო, მით უმეტეს, რომ ფრანგული ტრასა „ფერარის“ ბოლიდებისთვის ზედგამოჭრილია. „მანი კურზე“ მე ახლიდან ვიწყებ სეზონს და ერთი სული მაქვს, ჩემი თავი კვლავაც პელოტონის თავში ვნახო“.

ძახა ლომაძე

რენოს ახალი აეროდინამიკა



ფრანგული საპირველფორმულო გუნდის „რენოს“ აეროდინამიკური ტექნოლოგიების დირექტორის პოსტი დინო ტოზომ დატოვა. ეს არ გახლავთ უმნიშვნელო ამბავი, მით უმეტეს, რომ თავის საქმეში ტოზო ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება „სამეფო რბოლების“ სამყაროში და ამავდროულად, ამ რამდენიმე დღის წინათ, ბარსელონაში გამართული ტესტებისას, „რენომ“ სწორედ ახალი აეროდინამიკური და მექანიკური ელემენტები გამოსცადა, რომელთაც უკვე ამ უქმეებზე, საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშებისას გამოიყენებს.

ტოზოს წასვლაზე კარგა ხანია იყო ლაპარაკი და ბოლოს მოსახდენი მოხდა. იმაში, რომ „რენომ“ 2005-06 წლებში ორჯერ მოიპოვა ჩემპიონობა, ტოზოს დამსახურებაც არის, მაგრამ ყველაფერს გასდის ყავლი და ფრანგული საჯინიბოს შეფებმაც, როგორც ჩანს, ასე ჩათვალეს, რომ ახალ სიმაღლეზე ასასვლელად ახალი კაცი იყო საჭირო.

ტოზო უკმაყოფილო არ წასულა. მან მადლობა გადაუხადა ფლავიო ბრიატორესა და გუნდის ტექნიკურ დირექტორ ბობ ბელს პროფესიონალისზმისა და იმ პირადი მხარდაჭერის გამო, რასაც „რენოში“ მუშაობის პერიოდში მათგან გრძნობდა.

„რენომ“ კი, როგორც ვთქვით, ბარსელონაში ახალი აეროდინამიკური ელემენტები გამოსცადა წინა ანტიფრთაზე და ბოლიდის უკანა ნაწილზე. ეს ახალი ელემენტები, უკვე საფრანგეთის დიდი პრიზისას იქნება „რენოს“ მანქანებზე და ბობ ბელი ფიქრობს, რომ გუნდი სწორი გზით მიდის.

იმედიანადაა „რენოს“ პირველი პილოტი, ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსოც. „კანადურმა რბოლამ დაამტკიცა, რომ ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ და კვლავაც პროგრესის გზაზე ვართ. მე ვხედავ, თუ როგორ შრომობს ჩვენი გუნდის თითოეული წევრი და იმედი მაქვს, რომ ეს შრომა ბოლოს და ბოლოს შედეგებშიც აისახება — განაცხადა ესპანელმა და დაამატა — საფრანგეთის დიდი პრიზი „რენოსთვის“ მშობლიური რბოლაა, უამრავი ხალხი მოვა ჩვენს საქომაგოდ და ეს დამატებითი მოტივაციაა. ბარსელონაში ახალი აეროდინამიკური ელემენტები გამოვცადეთ, რომლებსაც უახლოეს რბოლებში გამოვიყენებთ და ვფიქრობ, პროგრესის გზაზე მორიგ ნაბიჯს გადავდგამთ“.

ძახა ლომაძე

ჭაობში ჩარჩენილები

რუსებმა დაკარისგან სიკვდილი გადაიღეს

ავტოსპორტის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ლეგენდარული რალი-რეიდი „დაკარი“ წლეულს არ ჩატარდა. მიზეზი „ალ ქაიდას“ ჩრდილოაფრიკული დაჯგუფების ტერორისტები იყვნენ, რომლებმაც „დაკარის“ დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე მავრიტანიაში ფრანგი ტურისტები დახოცეს და მავრიტანიის მთავრობამ, სადაც რალი-რეიდის რვა ეტაპს უნდა გაევლო, იმის გარანტია ვერავის მისცა, რომ მსგავსი რამ რბოლის დროს არ განმეორდებოდა.

წლევანდელს ვინ ჩივის, ზოგადად „დაკარის“ მომავალი დადგა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ და სავარაუდოდ, ეს რბოლა არც უახლოეს წლებში ჩატარდება.

წმინდა ადგილი თავისუალი არ რჩებაო და მარათონული გადარბენების მოყვარულებმა უმალ დაიწყეს ალტერნატიული გზების ძიება. გაისად „დაკარის“ ნაცვლად სამხრეთ ამერიკაში ჩატარდება რალი-რეიდი და ეგეც არ იყოს, უდაკაროდ დარჩენილებმა, უკვე წლეულსვე მოიგონეს რამდენიმე ახალი მარშრუტი. კერძოდ, გაზაფხულზე რაღაც ცენტრალურევროპული რალი-რეიდი ჩატარდა უნგრეთსა და რუმინეთში და 12 ივნისს კი რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქ სანკტ პეტერბურგში დაიწყო „ჩანსორიენტალ-2008-ად“ წოდებული მართლაც რომ სუპერმარათონული შეჯიბრი, რომლის სიგრძეც 10800 კილომეტრია და რომელიც, თავის ციმბირიანად მთელი რუსეთის გადავლის შემდეგ 28 ივნისს პეკინის სიახლოვეს, ჩინეთის დიდ კედელთან უნდა დასრულდეს.

რუსებს უყვართ ხოლმე თქმა, დიდი გაქანების ხალხი ვართ, ჩვენთან ყველაფერი გრანდიოზულიაო, მაგრამ ჯერჯერობით, ეს გრანდიოზულობა, მხოლოდ მარშრუტის სიგრძითა და მსხვერპლთა რიცხვით გამოიხატება.

რალი-რეიდი უმსხვერპლოდ ვის გაუგია, „დაკარზე“ ხალხი სულ პანტა-პუნტით იხოცებოდაო, ალბათ ასე იფიქრეს რუსებმა და ისეთი რშრუტი შეადგინეს, რომ საწყისი ექვსი ეტაპიდან ერთი სრულად, ერთიც სანახევროდ გაუქმდა და მერე ერთბაშად ორი კაცი მოკვდა — ფრანგი მოტომრბოლი ფილიპ ტონენი, ვის მოტოციკლსაც რუსთა სიამაყედ მიჩნეული ვლადიმირ ჩაგინის „კამაზი“ დაეჯახა და ჩინური გუნდის, „ჟენჟოუ ნისანის“ წევრი სიუ ლანი, ვინც ჭაობიან გზაზე გაჭედილი სხვა ეკიპაჟის დახმარებას ცდილობდა და მოულოდნელად გაწყვეტილი საბუქსირე ტროსის მსხვერპლი გახდა.

ორი სიკვდილი პირველივე რალი-რეიდის პირველივე კვირისთვის, ალბათ ნამეტანია. სხვა მხრივ კი გეტყვით, რომ ამ მარათონში 25 ქვეყნის სამასამდე მრბოლი მონაწილეობს და ჯვარი სწერიათ და, მათგან რამდენი გააღწევს ციმბირის ჭაობებიდან, ამ წუთას მართლაც ძნელი სათქმელია.

ძახა ლომაძე

კონტადორმა ჰემკინისკენ გაიხედა

შარშანდელი „ტურ დე ფრანსისა“ და წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ ესპანელი ჩემპიონი ალბერტო კონტადორი ფრანგულ სუპერრბოლაში შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას რომ ვერ შეძლებს, ძველი ამბავია. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ კონტადორი ყაზახურ-ლუქსემბურგული ველოგუნდის „ასტანას“ წევრია და „ასტანას“ კი, შარშანდელი დოპინგსკანდალების გამო „ტურის“ ორგანიზატორებმა წლევანდელ რბოლაში გამოსვლაზე უარი უთხრეს.

აი, ასეა საქმე, კონტადორი, ცოტა არ იყოს უქმად არის და მანაც ჩინეთისკენ, აგვისტოში გასამართი პეკინის ოლიმპიადისკენ გაიხედა.

„ჩემი შემდეგი მიზანი ოლიმპიური თამაშებია. რა თქმა უნდა, ერთდღიანი რბოლები ჩემი სპეციალიზაცია არ არის, მაგრამ მაინც საინტერესოა ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობა და მე ორივე რბოლაში, როგორც ინდივიდუალურში, ასევე ჯგუფურში შევეცდები წარმატების მიღწევას“ — განუცხადა ესპანურ „მარკას“ კონტადორმა, ვინც უკეთ აკლიმატიზაციის მიზნით პეკინში ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავა.

შვეიცარიაში ოსკარი მაკივენია

35 წლის ავსტრალიელმა რობი მაკივენმა „შვეიცარიას ტურზე“ ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო და კვლავაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან, ესპანელ ოსკარ ფრეირესთან ბრძოლაში.

ამჯერად შვეიცარიაში არ წვიმდა და მიუხედავად იმისა, რომ გოსაუდან დომატ-ემსამდე გაჭიმულ 171-კილომეტრიან გზაზე გაქცევის რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი, ბოლოს ყველაფერი მაინც ჯგუფური ფინიშითა და მაკივენ-ფრეირეს ბრძოლით დასრულდა.

ბუნებრივია, არც გენერალური კლასიფიკაციის სურათი შეცვლილა. ლიდერი კვლავაც „ეუსკალტელის“ ესპანელი იგორ ანტონია, ვინც 6 წამს უგებს ამერიკული „ჰაი როადის“ ლუქსემბურგელ კიმ კირხენს, მთავარ ფავორიტად მიჩნეული „ლამპრეს“ იტალიელი დამიანო კუნეგო კი ლიდერს 12 წამით ჩამორჩება.

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერლიგა						
		19 ივნისი						
21:00	350	ვესბი-ბრომაპოიკარნა	3.35	3.20	2.05	1.63	1.27	1.24
		აშშ. MLS						
		20 ივნისი						
06:30	375	ჩივასი-ჩიკაგო	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
		21 ივნისი						
23:30	376	ტორონტო-კანზასი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		22 ივნისი						
23:00	381	ვაშინგტონი-სან ხოსე	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		FIFA. მს 2010 შესარჩევი მატჩები						
		20 ივნისი						
04:30	447	ვენესუელა-ჩილე	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
22:30	634	ალჟირი-გამბია	1.48	3.60	5.50	1.04	1.16	2.17
23:00	635	ლიბია-ლესოტო	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33
		21 ივნისი						
17:00	637	საფრიკა-სიერა ლეონე	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
22:00	640	მაროკო-რუანდა	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
23:30	643	სენეგალი-ლიბერია	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
		22 ივნისი						
12:00	539	ავსტრალია-ჩინეთი	1.35	4.00	7.50	1.00	1.14	2.60
14:20	540	იაპონია-ბაჰრეინი	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
15:00	541	სამხ.კორეა-ჩრდ.კორეა	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
18:00	542	ომანი-ტაილანდი	1.50	3.60	5.55	1.05	1.18	2.18
19:00	543	იორდანია-თურქმენეთი	1.52	3.60	5.50	1.06	1.19	2.17
19:30	545	ირანი-კუვეიტი	1.30	4.20	7.80	1.00	1.11	2.73

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	546	საამიროები-სირია	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
20:00	547	ერაყი-ყატარი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
22:00	548	ს.არაბეთი-უზბეკეთი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
17:00	549	ეთიოპია-მავრიტანია	1.50	3.70	5.70	1.06	1.18	2.24
17:00	550	მიხამბიკი-მადაგასკარი	1.80	3.25	3.85	1.15	1.22	1.76
17:00	551	ზიმბაბვე-კენია	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
18:30	553	ანგოლა-უგანდა	1.55	3.55	5.55	1.07	1.21	2.16
18:30	554	კონგო-ჩადი	1.42	3.90	5.80	1.04	1.14	2.33
19:00	555	ბენინი-ნიგერი	1.30	4.30	9.00	1.00	1.13	2.90
20:00	556	კოტ დიუარი-ბოტსვანა	1.10	6.50	14.00	1.00	1.01	4.43
21:00	557	განა-გაბონი	1.15	5.85	12.00	1.00	1.04	3.93
21:00	558	გვინეა-ნამიბია	1.50	3.55	5.25	1.05	1.16	2.11
21:00	559	კაპვერდე-მავრიტანია	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:00	560	მალი-სუდანი	1.30	4.20	7.50	1.00	1.10	2.69
22:00	561	ეგვიპტე-მალავი	1.22	5.10	9.00	1.00	1.07	3.25
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		19 ივნისი						
22:45	26	პორტუგალია-გერმანია	2.60	3.10	2.75	1.41	1.33	1.45
		20 ივნისი						
22:45	25	ხორვატია-თურქეთი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
		21 ივნისი						
22:45	27	ესპანეთი-იტალია	2.65	3.00	2.75	1.40	1.34	1.43
		ფრენბურთი, კაცები. მსოფლიო ლიგა						
		20 ივნისი						
16:00	520	ჩინეთი-პოლონეთი.	2.80	1.30				
21:00	521	ეგვიპტე-იაპონია	2.00	1.60				

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	522	საფრანგეთი.-ბრაზილია	2.40	1.45				
		21 ივნისი						
04:40	524	კუბა-რუსეთი.	1.80	1.80				
09:00	525	სამ კორეა-იტალია.	4.50	1.12				
		22 ივნისი						
01:30	527	ვენესუელა-სერბეთი	2.80	1.30				
		ფრენბურთი. კაცები. ევროპის ლიგა. ბელარუსი						
		20 ივნისი						
17:00	528	გერმანია.-ავსტრია..	1.01	10.00				
19:30	529	ბელარუსი-თურქეთი..	1.70	1.90				
		ფრენბურთი, კაცები, ევროპის ლიგა. საბერძნეთი						
		19 ივნისი						
19:00	530	პოლანდია..-სლოვაკეთი	1.60	2.10				
21:30	531	საბერძნეთი..-პორტუგალია..	1.45	2.45				
		ფრენბურთი, ქალები. მსოფლიო გრან პრი. იტალია						
		20 ივნისი						
19:30	532	კუბა-პოლონეთი	1.30	2.80				
22:00	533	იტალია-დომენ. რესპ	1.04	6.50				
		ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. ჩინეთი						
		20 ივნისი						
11:00	534	ბრაზილია-ტაილანდი	1.01	12.00				
15:30	535	ჩინეთი-გერმანია	1.12	4.30				
		ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო გრან პრი. იაპონია						
		20 ივნისი						
10:00	536	აშშ-თურქეთი	1.15	3.80				
13:30	537	იაპონია-ყაზახეთი	1.04	6.50				

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10026	პორტუგალია-გერმანია	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10025	ხორვატია-თურქეთი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11026	პორტუგალია-გერმანია	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11025	ხორვატია-თურქეთი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

ზუსტი ანგარიში

47026	პორტუგალია-გერმანია	1:3	22.00
47026	პორტუგალია-გერმანია	2:3	30.00
47026	პორტუგალია-გერმანია	1:1	6.00
47026	პორტუგალია-გერმანია	2:2	14.00
47026	პორტუგალია-გერმანია	0:1	7.50
47026	პორტუგალია-გერმანია	1:0	6.50
47026	პორტუგალია-გერმანია	0:0	6.00
47026	პორტუგალია-გერმანია	2:1	9.00
47026	პორტუგალია-გერმანია	0:2	12.00
47026	პორტუგალია-გერმანია	3:1	18.00
47026	პორტუგალია-გერმანია	3:0	22.00
47026	პორტუგალია-გერმანია	1:2	10.00
47026	პორტუგალია-გერმანია	2:0	8.00
47026	პორტუგალია-გერმანია	0:3	25.00
47026	პორტუგალია-გერმანია	3:2	22.00

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
20026	პორტუგალია-გერმანია	10.5	1.90	1.70

ვინ დაიწყებს თამაშს

		1	2
31026	პორტუგალია-გერმანია	1.90	1.90

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

		1	2
32026	პორტუგალია-გერმანია	1.80	1.80

თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
36026	პორტუგალია-გერმანია	5.5	2.10	1.55

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

		კი	არა
21026	პორტუგალია-გერმანია	3.00	1.20

რომელ ტაიმში იქნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

		I-ში	თანაბრად	II-ში
40026	პორტუგალია-გერმანია	2.10	4.00	1.80

პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

			ნაკ.	მეტ.
24026	პორტუგალია-გერმანია	4.5	1.80	1.60

პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

		1	2
35026	პორტუგალია-გერმანია	1.90	1.90

ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

		1	2
33026	პორტუგალია-გერმანია	1.90	1.70

ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
34026	პორტუგალია-გერმანია	4.5	2.00	1.60

კუთხურები: წყვილი-1 თუ კენტი-2 (ძირ დრო)

		1	2
48026	პორტუგალია-გერმანია	1.85	1.85

პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

			ნაკ.	მეტ.
22026	პორტუგალია-გერმანია	1.5	1.25	2.35

გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

49026	პორტუგალია-გერმანია	კი	3.00

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

39026	პორტუგალია-გერმანია	კი	3.10

პირველ ტაიმში იქნება შეცვლა

43026	პორტუგალია-გერმანია	კი	3.50

პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

23026	პორტუგალია-გერმანია	კი	1.50	1.47

II ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19026	პორტუგალია-გერმანია	2.70	2.20	3.00	1.21	1.42	1.26

იქნება გაძევება(ძირ. დრო)

37026	პორტუგალია-გერმანია	კი	3.30

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17026	პორტუგალია-გერმანია	1.85	1.95
17025	ხორვატია-თურქეთი	1.85	1.95

რომელი გუნდი გავა 1/2 ფინალში

		1	2
18026	პორტუგალია-გერმანია	1.65	2.10

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი ჭაბებულად ჩაითვლება)

14026	პორტუგალია-გერმანია	1.90	1.90
14025	ხორვატია-თურქეთი	1.70	2.20

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12026	პორტუგალია-გერმანია	2,5	1.60	2.00
12025	ხორვატია-თურქეთი	2,5	1.55	2.10

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16026	პორტუგალია-გერმანია	1.82	1.82
16025	ხორვატია-თურქეთი	1.34	2.80

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			ნაკ.	მეტ.
13026	პორტუგალია-გერმანია	1.70	1.90
13025	ხორვატია-თურქეთი	1.90	1.70

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15026	პორტუგალია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15025	ხორვატია-თურქეთი	3.00	2.80	2.00

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე



ვირთევზა და გლეიზერი



სანამ საფეხბურთო ევროპის ყურადღებას კონტინენტის ჩემპიონატი იპყრობს, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალი" კრიშტიანუ რონალდუსთვის განაგრძობენ ომს და ამ „სერიალის" ბოლო ამბავი ესაა: ინგლისის ჩემპიონთა ამერიკელმა მეპატრონემ, მალკოლმ გლეიზერმა, ხმამაღლა და მტკიცედ განაცხადა, რომ რონალდუ არანაირ ფასად არ იყიდება.

საქმე ის გახლავთ, რომ, გლეიზერმა „იუნაიტედის" საყიდლად ფული ისესხა, 600 მილიონი გამოიტანა და ამ კრედიტს დაფარვა უნდა, მადრიდელები კი მხოლოდ ერთ ფეხბურთელში სთავაზობენ 70 მილიონს — გირვანქებზეა ლაპარაკი.

როგორი ბიზნესია?

მაგრამ არ იყიდებაო...

„რონალუს გაყიდვა გამორიცხულია! ეს იმ შემთხვევაშიც კი არ მოხდება, ტრანსფერი თავად მოთამაშემაც რომ ითხოვოს" — თქვა გლეიზერების ნდობით აღჭურვილმა პირმა.

გლეიზერები მზად არიან სერ ალექს ფერგიუსონს 23 წლის პორტუგალიელის შენარჩუნებაში ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი.

ისევ ნდობით აღჭურვილი პირი: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ რონალდუს გაყიდვა კრედიტის გასტუმრებასთან რამენაირ კავშირში შეიძლება იყოს, მწარედ ცდება. იმ სამი წლის განმავლობაში, რაც „მანჩესტერ იუნაიტედი" გლეიზერთა ოჯახის საკუთრებაა, ოჯახმა თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ გუნდის დაფინანსებას წამითაც არ წყვეტს. გარდა ამისა, გლეიზერები გუნდის მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის საქმიანობაში წამითაც არ ჩარეულან და ამას არც მომავალში აპირებენ. მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვა თავიდან ბოლომდე ფერგიუსონზეა დამოკიდებული. თუ მას ახალი ხალხი სჭირდება, საჭირო თანხას ყოველთვის მიიღებს და, შესაბამისად, ხმები, თითქოს კლუბის მეპატრონეებს კრიშტიანუს „რეალისთვის" მიყიდვა სურთ, ჭორია და მეტი არაფერი".

თავის მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ოფისმა განაცხადა, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავი ევრო 2008-ს დასრულებიდან სამ კვირაში ვარჯიშზე უნდა გამოცხადდეს.

შეგახსენებთ, რომ ხსენებული გლეიზერი სწორედ ის კაცია, რომლის გამოჩენას „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანები ხმალამოღებულნი შეხვნენ, თუმცა დღეს, ამერიკელთა საწინააღმდეგო, წესით, არავის არაფერი უნდა ჰქონდეს — ახალი ფეხბურთელების ყიდვასა და ძველთა ახალ კონტრაქტებში გლეიზერების ოჯახმა უკვე 200 მილიონი გირვანქა დახარჯა.

ვნებათაღელვის ახალი ტალღა კი, მოგეხსენებათ, თავად რონალდუს გამონათქვამმა გამოიწვია. ვარსკვლავმა განაცხადა, რომ „რეალში" გადასვლა უნდა, თუმცა ამ დღეებში ასე დასძინა:

„ევროპის ჩემპიონატის ბოლო თამაშამდე ჩემს მომავალზე საუბარი არ მსურს. ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ გერმანელებთან მეოთხედფინალზე ვფიქრობ".

შეკთხვაზე, რომელი საჭმელი უფრო უყვარს, ინგლისური თევზი თუ ესპანური პაელა (ვალენსიური კერძია, ბრინჯისგან მზადდება), რონალდუმ უპასუხა: პორტუგალიურად დამარილებული ვირთევზა.

პაპუნა კედია

დიდი ფული ორი საუკუნის საყიდლად

აბა, ესენი ყოფილან: ამ ზაფხულს გვარიანი თანხის გაღებას აპირებს ახალი ფეხბურთელების საყიდლად და ამით ცდილობს დიდი სტამბოლური სამეულისთვის — „გალათასარაი", „ფენერბაჰჩე", „ბეშიქთაში" — კონკურენციის გაწევას.

თურქულმა „ჰართმა" კი ფეხბურთელთა ის სიაც გამოამზეურა, „ტრაბზონსფორის" მწვრთნელებსა და უფროსობას რომ შეუდგენია.

აი, ისინიც: ალვარო რეკობა, ლუიშ ფიგუ, რობერტო აიალა, ელჰაჯი დიუფი, ტინი სილვა, პარასკევას ანცასი, პაბლო აიმარი.

როგორი სიაა? სახელები ისეთია, წუნს ვერ დასდებ, მაგრამ ასაკი... რომ შეკრიბო, ორ საუკუნეს უპრობლემოდ აჭარბებს.

და, რით უნდა მოხიბლონ ტრაბზონელებმა ეს ფეხბურთელები?

პასუხი თავშივე მოგახსენეთ: დიდი ფულით.

ძოტე კეკელია

პიუელი დაინიშნა

ფრანგული „ლიონის" მთავარ მწვრთნელად, როგორც მოსალოდნელი იყო, „ლილის" აწ უკვე ყოფილი თავკაცი კლოდ პიუელი დაინიშნა. მხარეებმა შეთანხმება ოფიციალურად გააფორმეს.

საფრანგეთის შვიდგზის ჩემპიონებმა გასულ სეზონში ალან პერენის ხელში თასიც მოიგეს და ჩემპიონატიც, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, გუნდის თამაში არცთუ დამაჯერებელი გახლდათ და პერენიც ამიტომ გაუშვეს.

ძველმოქმედი ბელამი

უელსის ნაკრებისა და „ვესტ ჰემის" ფორვარდმა კრეიგ ბელამიმ სიერა ლეონეში საფეხბურთო აკადემია დააარსა, რომელიც ბავშვებს განვითარებაში დაეხმარება. 28 წლის ჩხუბისთავს, რომელიც კარიერის განმავლობაში მრავალ სკანდალში გახვეულა, ეს პროექტი დაახლოებით 1,26 მილიონი დოლარი დაუჯდა.

„აქ იმისთვის ვარ, რათა ვაჩვენო ყველას, თუ რა სერიოზულია ჩემი განწყობა. აქაურობა ჩემთვის მეორე სახლივით იქნება. მინდა, ნიჭიერ ბავშვებს ყველანაირად დავეხმარო" — თქვა სიერა ლეონეს დედაქალაქ ფრიითაუნში ჩასულმა ბელამიმ.

ტერორისტი ალჟირელები

14 ივნისს, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისა და აფრიკის თასის შესარჩევ მატჩში, გამბიამ შინ ალჟირს 1:0 მოუგო. მოგვიანებით კი გამბიელებმა დაიჩივლეს, ალჟირელები დაგვემუქრნენ, ჯგუფური ეტაპის საპასუხო შეხვედრაზე ჩვენთან რომ ჩამოხვალთ, ნახავთ, რა დღე დაგადგებათ, თქვენს სასტუმროს ავაფეთქებთო.

გამბიის ფეხბურთის მამებმა განაცხადეს, ალჟირელი ფეხბურთელები ნამდვილი ტერორისტები არიან და ზომებია მისაღებიო. ალჟირის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებმა კი თქვეს, ეს უსაფძვლო და სულელური განცხადებებია, პროვოკაციის მიზნითო.

სიდველი ვილაში?

ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველი სტივენ სიდველი კარიერას ალბათ ბირმინგემის „ასტონ ვილაში" გააგრძელებს. მხარეები შეტანხმების მიღწევასთან ახლოს არიან. მისი ფასი დაახლოებით 4,5 მილიონი გირვანქაა.

შეგახსენებთ, რომ სიდველი „ჩელსიში" „რედინგიდან" გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით დამკვიდრდა.

რეინჯერსი თავდასხმას აძლიერებს

შოტლანდიური „რეინჯერსი" კიდევ ერთი თავდამსხმელით გაძლიერდა, გლაზგოელებმა „ბარნლისგან" 3 მილიონი გირვანქისა და ზედ შემტევი ნახევარმცველის ალან გოუს დამატებით კაილ ლაფერტი შეიძინეს. შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს ეს „რეინჯერსის" უკვე მესამე ახალი ფორვარდია კენი მილერისა და ანდრიუს ველიჩკას შემდეგ.

ქურდები

ინგლისური „საუთჰემპტონის" ორი ფეხბურთელი, ბრედლი რაიტ-ფილიპსი და ნეთან დაიერი ქურდობაში არიან ეჭვმიტანილები. როგორც ირკვევა, თებერვალში მათ ერთ-ერთი ღამის კლუბის პერსონალის ოთახიდან მობილური ტელეფონები, გარკვეული თანხა, სტუდენტური ბილეთები და სიგარეტი მოიპარეს. ორივე ფეხბურთელი თავდებით გაათავისუფლეს, სასამართლო მოსმენა 8 ივლისს პორტსმუთში შედგება.

პაბლო წავიდა, მუნიოსი მოვიდა

პაბლო ერნანდესი „ხეტაფედან" „ვალენსიაში" დაბრუნდა. 23 წლის ფეხბურთელმა „ღამურებთან" ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თუ ვინმე მის გამოსყიდვას ისურვებს, 55 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. აქვე აღვნიშნოთ, რომ „ხეტაფეს" ახალი მთავარი მწვრთნელი ვიქტორ მუნიოსი გახდა, ვინც „უელვაში" მუშაობდა.

ბარსა ტრეზეგეს არ ეშვება

კატალონიური „ბარსელონა" ამბობს, რონალდინიო, დეკუ და სამუელ ეტოო არ გვჭირდებაო, მაგრამ სამაგიეროდ, „ნოუ კამპის" ბინადრებს დავიდ ტრეზეგეს შეძენა სურთ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა „ბარსა" ტურინის „ივენტუსის" ფრანგ ფორვარდს უტრიალებს. კატალონიელებს, რომლებიც მზად არიან, 15 მილიონი ევრო გაიღონ, იმედი აქვთ, რომ შეთაბაზმება ამჯერად მაინც მოხერხდება. „იუვეს" კი, თუ ტრეზეგეს გაყიდის, იმ ფულით „აიაქსიდან" კლაას იან ჰუნტელაარის შეძენა აქვს დაგეგმილი.

ოვომოიელა დორტმუნდში მიდის

გერმანული „ვერდერის" მცველი პატრიკ ოვომოიელა „დორტმუნდში" გადასვლათან ძალიან ახლოსაა, შესათანხმებელი მცირე დეტალებიღა რჩება. 28 წლის ფეხბურთელი თავის ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „ბრემენელი მუსიკოსები" კი მასში დაახლოებით 2,5 მილიონ ევროს მიიღებენ.

გიორგი კაკაბაძე

ყურადღება, გვარდიოლა მოვიდა!



სათქმელი მთელი ევროპისა და უპირველეს ყოვლისა საფეხბურთო ქორ-ვაჭრების გასაგონად პირდაპირ ითქვა: „ბარსელონას“ რონალდინიუ, დეკუ და სამუელ ეტოო არ სჭირდება.

„ჩვენ ახალ გუნდს ვაყალიბებთ და ეს სამი ფეხბურთელი არ გვჭირდება, თუმცა დავიცადოთ და რა მოხდება ვნახოთ — განაცხადა „ბარსას“ ახალმა თავკაცმა პეპ გვარდიოლამ თავის ოფიციალურ პრეზენტაციაზე — მათი გაშვების შესახებ გადაწყვეტილება ამ ფეხბურთელთა თამაშის, ჩვენთან გატარებული სეზონების რაოდენობისა და სხვა პარამეტრების ანალიზის შემდეგ მივიღეთ“.

მაშ ასე, კატალონიურ კლუბს ორი წლით ახალი მწვრთნელი, ახლო წარსულში მისივე ნახევარმცველი და კაპიტანი, 37 წლის გვარდიოლა ჰყავს, რომელიც „კამპ ნოუზე“ ფრანკ რაიკაარდის ადგილს დაიკავებს. ჰოლანდიელი სპეციალისტის გაშვების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ბოლო ორ სეზონში ვერანაირი ჯილდო ვერ მოიგო. მეტიც, პრიმერადივიზიონის ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში „ბარსამ“ მისთვის შეუფერებელი მესამე ადგილი დაიკავა, რამაც რაიკარდთან დაკავშირებულ ყველა კითხვას გასცა პასუხი.

და რონალდინიოსთან დაკავშირებული კითხვები?

28 წლის ბრაზილიელი ორიოდ წლის წინ „კამპ ნოუზე“ ზევარსკვლავად ითვლებოდა და თვალისმომჭრელად ბრწყინავდა — „ბარსამ“ ზედიზედ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, 2006-ში კი ჩემპიონთა ლიგაშიც გაიმარჯვა. მაგრამ, ბრაზილიელის სამწუხაროდ, გასულ სეზონში იგი პრიმერადივიზიონის 38 შეხვედრიდან მხოლოდ 13-ში მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში. ამ ამბავში თავისი როლი სხვა მიზეზებთან ერთად ტრავმამაც ითამაშა.

დღეს რონალდინიოს შეძენით „მანჩესტერ სიტი“ და „მილანი“ არიან დაინტერესებულნი.

გვარდიოლა: „რონალდინიოსგან ძველებურად თამაშის სურვილს რომ ვგრძნობდე, როგორ გავუშვებდი, მაგრამ ის გარემოს აფუჭებს, მე კი გასახდელში თანამოაზრენი მჭირდება“.

რონალდინიუს დარად, 30 წლის პორტუგალიელი დეკუც ვეღარ თამაშობს „ბარსელონაში“ ისე, 2004 წელს „პორტუდან“ გადასვლის შემდეგ რამდენიმე წლის მანძილზე რომ თამაშობდა. მისი შეძენა „ჩელსის“ და მილანის „ინტერს“ სურთ.

იმავე 2004 წლიდან, კამერუნელი სამუელ ეტოო „ბარსას“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია. ეტოო 27 წლისა გახლავთ, მაგრამ გასულ სეზონში ტრავმის გამო კარგა ხანი გაუცდა. გარდა ამისა, გუნდიდან გამოსული ხმების თანახმად, მას რაიკარდთან კონფლიქტი ჰქონდა.

„ჩვენ ისეთ მეცხრე ნომერს ვეძებთ, რომელიც ტიერი ანრისა და ბოიან კრკიჩს შეავსებს — განუმარტა გვარდიოლამ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ „ბარსას“ ახალი მწვრთნელი იოჰან კრუიფის დროინდელი „ოცნების გუნდის“ ფეხბურთელი იყო. იმ „ოცნების გუნდმა“ 1991-94 წლებში ზედიზედ ოთხჯერ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, 1992 წელს კი ჩემპიონთა თასიც მოიგო.

გვარდიოლას, როგორც მწვრთნელს, დიდი გამოცდილება ნამდვილად არ აქვს. მის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ერთი კვირის წინ „ბარსა B“ სეგუნდა დივიზიონში აღაზევა.

„ჩემთვის გასაგებია ეჭვი, რომელიც ხალხს ჩემი გამოუცდელობის გამო უჩნდება — თქვა ახალმა თავკაცმა — გასაგებია, მე ეს თანამდებობა იმიტომ მანდეს, რომ წარსულში „ბარსელონას“ ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ ვგრძნობ, ეჭვები რამდენიმე თვეში გაქარწყლდება, რადგან საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ.

სიამოვნებით დავპირდებოდი ფანებს ტიტულებს, მაგრამ არ შეიძლია და ვგონებ, ეს სწორიც არ იქნებოდა. ვიცი, წაგებისთვის დრო აღარ გვაქვს, ჩვენ უნდა გავიდეთ და უპირატესობა ჩავიგდოთ ხელში. თავადაც შემტევი ფეხბურთის დიდი მოყვარული გახლავართ და ბურთის ხილვა მოწინააღმდეგის ნახევარზე მირჩევნია“.

„გვარდიოლას ყველა ის თვისება აქვს, „ბარსელონას“ ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელობისთვის რომ არის საჭირო — დასძინა ბოლოს „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ — მან როგორც ფეხბურთზე, ასევე კლუბზე ძალიან ბევრი რამ იცის და თანამედროვე ფეხბურთსაც ქადაგებს“.

პაპუნა კედია

დავა 12 აგვისტოს და მესის გამო

ლეო მესი არგენტინის ნაკრებთან ერთად პეკინის ოლიმპიადაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ „ბარსელონა“ ამის ნებას ოფიციალურად დართავს — განაცხადა კატალონიურმა კლუბმა.

რამ განაპირობა ესპანური გიგანტის ასეთი კატეგორიულობა? სავარაუდოდ, 20 წლის ვარსკვლავის ერთი ხნის წინანდელმა განცხადებამ, რომ ოლიმპიადაზე წასვლა-არწასვლა პირადად მისი გადასაწყვეტია... თუ, რასაკვირველია, არგენტინელ ოლიმპიელთა მწვრთნელი გამოიძახებს. არადა, მესის პეკინში გამგზავრება იმას ნიშნავს, რომ „ბარსამ“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი 12 ან 13 აგვისტოს, მის გარეშე უნდა ჩაატაროს.

ბარსელონელთა სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგერისტაინმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„ყველაფერს კანონმდებლობა გადაწყვეტს. თუ არგენტინის ნაკრები გარანტიას მოგვცემს, რომ მესი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრაში ითამაშებს, პრობლემა არ იქნება, თუ არა და, ჩვენ მას პეკინში არ გავუშვებთ“.

მოგეხსენებათ, „ბარსელონას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, წარსულში დიდი ნახევარმცველი პეპ გვარდიოლა, რომელმაც საკუთარ ოფიციალურ პრეზენტაციაზე თქვა:

„იმედი მაქვს, რომ პირველივე დღიდან გუნდის ყველა ფეხბურთელი ჩემს განკარგულებაში იქნება. რაც მალე დავიწყებთ ერთობლივ მუშაობას მით უკეთესია „ბარსელონასთვის“.

კატალონიელთა თავსატკივარი ამწუთას „სევილიას“ ბრაზილიელი მცველის, დანი ალვეშის გადაბირებაც გახლავთ. ამ მოთამაშემ „ბარსაში“ გადასვლა კი ინდომა, მაგრამ ტრანსფერს ხორცი, ჯერჯერობით, ვერ ესხმება.

რაც შეეხება არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებს: ბრაზილიისგან განსხვავებით, ამ გუნდს საპეკინო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადა ჩინეთის დედაქალაქში 6-23 აგვისტოს გაიმართება და მასში თითოეულ საფეხბურთო გუნდს, სამი ასაკგადაცილებულის გარდა, მხოლოდ 23-წლამდელი ფეხბურთელების გამოყვანის უფლება აქვს.

ზემოხსენებული ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები 26 და 27 აგვისტოს გაიმართება.

პაპუნა კედია

პოლდის მსურველები

ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე კარგად მოთამაშე ლუკაშ პოდოლსკის, რომელსაც მიუნხენის „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს, თვალი „ტოტენჰემმა“ და „იუვენტუსმა“ დაადგეს. თავად „პოლდიმ“, რომელიც „კიოლნიდან“ 10 მილიონ ევროდაა ნაყიდი, აღნიშნა, მსიამოვნებს ასეთი კლუბების ყურადღებაო. სხვათა შორის, „იუვენტუსი“ გერმანულ ბაზარზე კიდევ ერთი მოთამაშითაა დაინტერესებული — გელზენკირხენის „შალკესა“ და ხორვატიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველით ივან რაკიტიჩით.

რიისე მარადიულ ქალაქში

„ლივერპულის“ ნორვეგიელი მცველი იონ არნე რიისე რომში ჩავიდა, რათა „გლადიატორებთან“ საბოლოოდ შეათანხმოს პირადი კონტრაქტის დეტალები. თუ მოლაპარაკება კარგად ჩაივლის, 27 წლის ფეხბურთელი ალბათ უმალ გაივლის სამედიცინო შემოწმებას და „რომასთან“ კონტრაქტს ხელს მოაწერს. შეგახსენებთ, რომ „უდინეზესგან“ ანდრეა დოსენას ყიდვის შემდეგ, „ლივერპულმა“ რიისეს წასვლის ნება დართო.

მანსინი თითქმის ინტერელია

ამანტინო მანსინი უკვე ჩემოდნებს ალაგებს და მილანში წასასვლელად ემზადება. თუ სასწაული არ მოხდა, ბრაზილიელი შემტევი ნახევრამცველი „რომადან“ „ინტერში“ გადავა. გუნდები, ფაქტობრივად, ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ ოფიციალური დეტალები ჯერ არ ხმაურდება.

პარალელურად, „ინტერს“ დაუბრუნდა „სან პაულუში“ სარეაბილიტაციოდ გაშვებული ადრიანო. „იმპერატორმა“ იქ კარგად იბურთავა და ახლა ეცდება, თავი „ნერაძურის“ ახალ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს მოაწონოს.

კოკი კანდელაკი

ისტორიის ფურცელში ჩასულები

ფრანგი მცველი ლილიან ტურამი და ნახევარმცველი კლოდ მაკელელე სანაკრებო ფეხბურთს დაემშვიდობნენ. ეს ამბავი ციურიხში, „ლურჯების" იტალიელებთან 0:2 დამარცხების და ევროპის ჩემპიონატიდან გავარდნის შემდეგ გაცხადდა.

36 წლის ტურამს საფრანგეთის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 142 შეხვედრა აქვს ჩატარებული. მართალია, სამშაბათს, „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ ტურამმა მონაგარს 143-ე თამაში ველარ მიამატა, მაგრამ ამით მისი რეკორდი ვერანაირად ვერ დაკნინდა. ცნობისთვის: ევრო 2008-ზე წაყვანილ ფრანგთაგან ლილიან ტურამი გახლდათ სამიდან ერთი, 1998-ში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვა. მის გარდა მსოფლიოს ჩემპიონთაგან იყვნენ ტიერი ანრი და პატრიკ ვიერა. როგორც ჩანს, ემე ჟაკეს დიდი გუნდი სულ მალე მთლიანად ისტორიის კუთვნილებად იქცევა.

„დღეს ჩემი, როგორც საფრანგეთის ნაკრების მოთამაშის კარიერა დასრულდა — განაცხადა ტურამმა — საფრანგეთის ნაკრებს ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ადგილი ეჭირა. ძალიან სევდიანი ვარ. ჩვენი ფიასკო ძალიან ძნელი გადასატანია, მით უმეტეს, ჩემთვის, რადგან ნაკრებში ბოლო მატჩი ვითამაშე. ჩემს ცხოვრებაში და კარიერაში ერთი დიდი და ნიშვნელოვანი ნაწილი დასრულდა, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ... მთლიანად სათამაშო კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ. თუმცა არ ვიცი, ვჭირდები თუ არა კლუბს".

თუ ტურამი „ბარსელონასაც" დატოვებს, შესაძლოა პსჟ-ში გადაბარგდეს. თუმცა არ არის გამორიცხული, ინელექტით ცნობილმა ფეხბურთელმა საერთოდ დაანებოს თამაშს თავი, მას პოლიტიკური კარიერა უხმობს...

ტურამისგან განსხვავებით, კლოდ მაკელელემ „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ ითამაშა, რაც 35 წლის ფეხბურთელისთვის „ლურჯების" შემადგენლობაში 71-ე შეხვედრა გამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ მაკელელეს წლების განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩამშლელ ნახევარმცველად მიიჩნევდნენ, მაგრამ საფრანგეთის გუნდთან ერთად მას არასდროს არანაირი ტიტული არ მოუგია. ყველაზე მეტი, რასაც მაკელელემ სანაკრებო დონეზე მიაღწია, 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა გახლდათ.

„ჩემი ჯილდო საფრანგეთის ნაკრების მაისურით თამაში იყო" — თქვა ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელმა.

ხოლო მწვრთნელ რაიმონ დომენეკს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და წასვლას არსად აპირებს.

სხვათა შორის, დომენეკმა ტრადიციას არ უღალატა და ჟურნალისტებთან მოულოდნელი კომენტარები გააკეთა. კითხვაზე — თქვენი მომავალი? მან უპასუხა, რომ დაქორწინებას აპირებს და მის შეყვარებულს ტელეჟურნალისტ ესტელ დენისს ხელი უნდა სთხოვოს: „ახლა ერთადერთი გეგმა მაქვს, ესტელზე უნდა დავქორწინდე და სწორედ ამ საღამოს ვთხოვ მას ხელს. ვიცი, რომ ეს მოულოდნელი და რთულია, მაგრამ ახლა ესტელი ძალიან მჭირდება. რაც შეეხება კონტრაქტსა და პოსტზე დარჩენა-არდარჩენას, ახლა ამაზე არ ვფიქრობ, რადგან ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. ფაქტია, რომ ნიჭიერი თაობა მოდის, რომელსაც დიდი მომავალი აქვს და გასაკეთებელი ბევრი რამაა".

ზემოთ ტიერი ანრი ვახსენეთ, რომელმაც თქვა: „თამაშის გაგრძელება მინდა. უკვე ვთქვი, რომ ნაკრებიდან წასვლის აზრმა გამიელვა, მაგრამ ისევ აქ ვარ. არ ვიცი, რა და როგორ მოხდება, მაგრამ პირადად მე ბრძოლას ვაპირებ, ეს ფიასკო, მომავლაში კარგი თამაშით უნდა გამოვასწოროთ".

ძოძი ანდელაძი

დაუსხით, დაალევინეთ!

ვერ დავიჟინებთ, მაგრამ შვეიცარიელები ეგებ ნანობენ კიდეც, რუსეთის ნაკრებს ავსტრიაში რომ უწევს თამაში და არა მათ ქვეყანაში. მიზეზი მარტივია: ევროპის ჩემპიონატზე ჩასული რუსი გულშემატკივრები რომ ფულს ხარჯავენ, ბარე ორმა დაიკვეხნოს...

ასე, მაგალითად, რუსეთისა და საბერძნეთის მატჩისთვის ზალცბურგში, მოცარტის მშობლიურ ქალაქში 15 000-მა რუსმა მოიყარა თავი, რომელთაგან, რბილად რომ ვთქვათ, ღარიბი თითო-ოროლა თუ იქნებოდა. ზალცბურგის აეროპორტში მხოლოდ ჩარტერული რეისით 60 თვითმფრინავი დაფრინდა.

ყველაზე მდიდრები? „ჩელსის" და „არსენალის" მეპატრონეები, რომან აბრამოვიჩი და ალიშერ უსმანოვი.

და, ნურც იმას იფიქრებთ, რომ დარჩენილმა 15 ათასმა რუსმა უმალ ზალცბურგის „ვალს-ზიცენჰაიმის" სტადიონს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ლუდხანებს მიაშურა. არა, ბატონებო, როგორც თავად რუსული წყაროები იუწყებიან, მათმა უმრავლესობამ 500-ევროიანი ბანკნოტები მოიმარჯვა და ბუტიკებს შეესია.

ეს ტურნირი ჩვენთვის ნამდვილი ელდორადოაო — ხელებს იფშვნეტდა ზალცბურგის მიწის ტურიზმის შეფი ლეო ბაუერნბერგერი — ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ამდენი ფული არასდროს გვიშოვია. თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსები მხოლოდ ლუქსის კლასის მანქანებს ქირაობენ.

სასმელი? რა თქმა უნდა, არც უამისობაა. ბოლო რამდენიმე დღეში რუსებმა ნახევარი მილიონი ევროს ღირებულების მხოლოდ შამპანური დალიეს. სხვა, უფრო ტრადიციული სასმელების თაობაზე, წყაროები მოკრძალებით დუმან.

ძოტე ძეძელია

რიბერის ფეხი

ფრანგმა ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ მარცხენა ფეხის კოჭი და მუხლი დაიზიანა — ეს ამბავი, სამშაბათს, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებების თამაშის მეათე წუთზე, ჯანლუკა ძამბროტასთან შეჯახებისას მოხდა. შეხვედრა იტალიელებმა 2:0 მოიგეს.

„კოჭთან საშინლად აქვს მყესები გაჭიმული — უთხრა ჟურნალისტებს „ლურჯების" მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა — რაც შეეხება მუხლს, დაბეჯითებით ჯერ კიდევ ვერ ვამბობთ, რამდენად აქვს დაზიანებული. ამის დადგენას სერიოზული გამოკვლევა სჭირდება. დღეისათვის რიბერი ფეხს ვერ ადგამს. ის ყავარჯნებს ეყრდნობა".

ბაბუნა ძედია

მოგვწერეთ თქმენი პროგნოზები და მოსაზრებები, გის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქმენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— ჩიტირი მინუს დვას რამდენი უნდა?

— ექვსი ლარი.

— მასესხე და ცვეტში თამაშს გეტყვი. იმენნა ერთი ერთზე დაგტოვებ მეკარესთან. უეჭველია.

— შვიდ ლარს მოგცემ და ჩეტვერტფინალები სანამ არ მოყომარდება, ამ ტატალიზატორის შტრაფნოის ხაზს არ მოუახლოვდე.

— რატო, ძმაო, მე სერიოზული იგროკი ვარ, პირველი ტაიმის ნიჩია არ გეგონო.

— იმიტო, რო რამდენჯერაც დაგინახე, იმდენი ბილეთი აუტში გადამივიდა. ხელი ვერ გავჭერი, ტო!

კაროჩე, მისმინე: კარგ ტრანსფერს გაგიჩალიჩებ,

ოღონდ ახლოს ნუ მოდიხარ, ცხრა მეტრაზე გაიწი. კაროჩე, ესე: ტრანსფერს გაგიკეთებ ნაპროტივ ქუჩაზე ტოტალიზატორში. ერთს პლუს ერთი კონტრაქტით.

ამ ზაფხულს ზბორებს გაივლი და მეორე ზაფხულამდე წერე აძინიქსები. თუ სასტავში ჩაჯდები, კონტრაქტს გაგიგრძელებენ, ოღონდ აქ აღარ შემოხვიდე, ტო!

— შენ, ძმაო, რატო ეგრე მიყურებ, როგორც არაგონესი რაულს? ვაფშე, ჩემი დაწერილი ბილეთები გინახია?

— როგორ არ მინახია. ეხლა არ გამოვიდა, ტო, პირველი ტაიმი შენი წაგებული ქვითრებისა, „ვეფხისტყაოსანივით“ ხელიდან ხელში რო გადადის?

— შენ კაიფობ, ძმაო, მე კი გეუბნები, რო თამაში ვიცი იმენა რკინა-ბეტონის ზავოდიდან. ნუ, ბრონიჟილეტია, რა!

— მაიცა, ტო! ფუტბოლზე მებაზრები თუ, ვერ გავიგე, რა ზავოდი და პრივატიზაცია... დილას რო გაიღვიძე, სიცხე ორნახევარზე მეტი გქონდა თუ ნაკლები?

— ხარაშო, ძმაო. საქმიანი ტიპი ჩანხარ, სამ ლარად გეტყვი.

— აჰა და მითხარი.

— სკოლარი დაწვება.

— ვინ დაწვება?

— სკოლარი დაუწვება ლიოვს.

— რა პონტში?

— ვალი აქ გადასახდელი.

— პროცენტიანი?

— ნუ ღადაობ, ძმაო. პორტუგალია ცვეტში აგებს. ეგენი ცვლიან. 2002-ში სკოლარიმ გერმანის ხო მოუგო, ეხლა უნდა დააბრუნოს. პორტუგალია დღეს მაგრა დაიგრუზება და ნახავ, თუ არ ჩატეხონ. იმიტო რო უკვე სამი დღეა, თამაში არ გამტყდარა.

— ეგ ინფორმაცია სამი ლარი ღირს, ტო?! ლარნახევარი უკან მაიტა, თორე ისე დაგგრუზავ, რო მესამე წუთზე საკაცით გაგიტანონ.

ჩემი ბილეთი:
001 პორტუგალია — გერმანია
შედეგი: ჩაწყობილია
სავარაუდო მოგება: გაგება

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ როგორ გადააპარა დომენეკმა ნაკრები საფრანგეთის საზღვარზე 1-2-1-2-1-2-1 ტაქტიკური სქემით

114140 *

ვან პერსი: გამართლებული რისკი

ბარძაყის ტრავმის გამო რობინ ვან პერსი აპრილს აქეთ არ თამაშობდა და ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ გამოჯანმრთელდა. ხოლო თუ ვინმეს ეჭვი მაინც ეპარებოდა ვან პერსის ფორმასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ჰოლანდია — რუმინეთის მატჩში მისი თამაშის შემყურეს, ეს ეჭვი უნდა გაქარწყლებოდა.

რუმინელებთან ვან პერსიმ სრულად ითამაშა, იქამდე კი, ფრანგებთან მოგებულ მატჩში, შეცვლაზე შევიდა და იქაც გოლი გაუტანა.



ისე, დიდი შანსი იყო, ვან პერსი ამ ჩემპიონატზე საერთოდ ვერ მოხვედრილიყო, რაკი ჰოლანდიის მწვრთნელის მარკო ვან ბასტენის პრინციპია, ტრავმისგან იმ წამს თავდახსნილი ფეხბურთელების გამოძახებისგან თავის შეკავება. ხოლო, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვან პერსის სპორტულ ფორმაზე ეჭვები არსებობდა.

ახლა კი ვან ბასტენი ამბობს: „ძალიან გახარებული ვარ. მას ხანგრძლივი და რთული პერიოდი ჰქონდა, როცა თამაში არ შეეძლო. თუმცა ჩემპიონატის დაწყების წინ ის თითქმის გამოჯანმრთელებული იყო და გადავწყვიტე, განაცხადში მაინც შემეყვანა. პირველად რომ გავიდა მოედანზე, შეეტყო, რომ მაინც უჭირდა, მაგრამ ისეთი მონდომებული იყო, პრობლემები საბოლოოდ დაძლია და ნახეთ, როგორ ათამაშდა“.

კოტე კეკელია

euro_fan_2008@yahoo.com

PARTIZAN 777: სალამი „სარბიელს“!

იტალია ევროპის ჩემპიონია! ნაადრევი ფინალი შედგა. მართალია, სანახაობრივად ნოლი, მაგრამ მნიშვნელობით — უდიდესი. თუ ეგ თამაში დონადონის „შესანიშნავი სანახაობა“ ჰგონია, მაშინ საქართველოს ჩემპიონატიც მოეწონება. იქნება და მოვიწვიოთ მწვრთნელად? „ვენაცვალე“ ჰოლანდიელებს, თავიანთ ცხენებს გამოასწრეს რუმინელებმა ბერნიდან. ვან ბასტენს და კომპანიას ჭკუა არ ჰქონიათ, მაკარონნიკების და ბაყაყიჭამიების გაგდება შეეძლოთ ერთი თამაშით. ახლა საკუთარ თავს დააბრალონ, ნახევარფინალში იტალიასთან რომ განადგურდებიან.

P.S. რადგან ევროპის პროგნოზი გამოვთქვი, მსოფლიოზეც ვიტყვი. 2010-ში ინგლისი იქნება ჩემპიონი, კაპელო უშველის მაგათ.

DZIBO007: მოგესალმებით ყველას, მიმდინარე ევროპის ჩემპიონატმა დაგვანახა ბევრი პლუსი და ბევრი მინუსი. მთავარი მინუსი კი მსაჯების პრობლემაა: ჩატარებული 24 შეხვედრიდან ნახევარზე მეტ თამაშში მსაჯების პრობლემებზე ლაპარაკობდა მთელი ევროპა. იტალიელები იძახდნენ, მსაჯმა დაგვჩაგრა და I ტურში ჰოლანდიასთან არ უნდა წაგვეგო. ჩემი მოლოდინი გამართლდა და ჰოლანდიამ მართლაც შესანიშნავი ფეხბურთი დაგვანახა. რაც შეეხება იტალიელებს, გოლი რომც არ ჩათვლილიყო, ისე ჩანდა, ჰოლანდია 5-10 წუთში შეაგდებდა, რაც მალევე მოხდა კიდეც. ისე, მსოფლიოს ჩემპიონები რუმინეთთან ნამდვილად დაიჩაგრნენ, როცა ლუკა ტონის გოლი არ ჩაუთვალეს. კატეგორიულად ვეწინააღმდეგები პოლონელ გულშემატკივარს. ვებიც ადამიანია და მას ეს შეცდომა უნდა ვაპატიოთ. საინტერესოდ ითამაშა დავიდ ვილიამ, ვინც პირველ ტურში ჰეთ თრიქი შეასრულა, თუმც, მისდამი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მგონია, რომ ბომბარდირი ვერ გახდება.

ჩემი აზრით, ამ დროისთვის ყველაზე ძლიერი დაცვა ჰოლანდიას ჰყავს და მგონია, რომ ევრო 2008-ის საუკეთესო მცველი ვან ბრონკჰორსტი გახდება. ნახევარდაცვაში გამოვარჩევდი პოდოლსკის, დეკუს და სნეიდერს. საშწუხაროდ, ჯერჯერობით ვან დერ ვაარტი ვერ ათამაშდა, თუმცა მის გაბრწყინებას წუთი-წუთზე ველოდები. თავდამსხმელთაგან კი დავიდ ვილიას და ფერნანდო ტორესს გამოვარჩევდი. მგონია, რომ ესპანეთიც და ჰოლანდიაც გადალახავენ მეოთხედფინალს და ნახევარფინალში დაეჯახებიან ერთმანეთს. ეს მატჩი კი იქნება ფინალის ტოლფასი (თუ მართლაც ასე მოხდა) — საუკეთესო დაცვა და ნახევარდაცვა, საუკეთესო თავდასხმის წინააღმდეგ. მეკარეებში კი მაინც ვან დერ სარი მგონია ამ ეტაპზე საუკეთესო, მან ფრანგებთან ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ცუდი შანსი არ აქვს ჩვენს მეზობელ თურქეთსაც, თუმცა ხორვატია-თურქეთის წყვილში მაინც ხორვატებს მივიჩნევ ფავორიტად. პორტუგალია-გერმანიის მატჩში კი უპირატესობას გერმანელებს ვანიჭებ და თუ მათ თავიანთი თამაში იპოვეს, პორტუგალიას და კრიშტიანუ რონალდუს ძალიან გაუჭირდებათ. ნახევარფინალში კი ყველაფერია მოსალოდნელი.

და ბოლოს, საინტერესო დასაწყისია და საინტერესო დასასრულს ველი.

DIO MOON: სალამი სარბიელს! კლას იან ჰოლანდია! ამ ბიჭებმა უკვე ყველაფერი გააკეთეს, ითამაშეს ის, რაც უნდა ეთამაშათ! მარკომ დაამტკიცა, რომ დიდი ფეხბურთელობა დიდ მწვრთნელობასა და ადამიანობასთან ახლო დგას. კიდევ, ყოჩაღ იტალიას, კარგად ითამაშეს, არიგა პირლომ პასები... მაგრამ ეს ნაკრები უფრო გულშემატკივრების შედგენილია, ვიდრე დონადონის. მოითხოვეს დელ პიერო, არის დელ პიერო, მოითხოვეს კასანო, არის კასანო. ჩემი მხარდამჭერები რომ მყოლოდა და კარგი პიარკამპანია ჩამეტარებინა, მეც მათამაშებდა რობერტო მასწავლებელი.

საფრანგეთი უკომენტაროდ!!! აბიდალის გაგდებისას, დომენეკის შეძრწუნებულ-დაბერებული სახე თუ შეამჩნიეთ. მე მგონი, სადამ ჰუსეინს არ ჰქონდა ეგეთი სახე სასამართლო პროცესზე. როგორც ჩანს, მუსიე დომენეკს ბავშვობაში ცეცხლთან თამაში უყვარდა და კარგი ბებია არ ჰყავდა, რომ ეთქვა, ასეთ ბავშვებს ღამე რა ემართებათ! რა დროს ბუმსონგია, არ გვინდა დაცვა! არ არის ეს კაცი მწვრთნელი! ეს რა ქნეს ოსმალოებმა! აიღეს და ჩეხი გიგანტი სტამბოლის ბაზარზე ყველაზე იაფად გაყიდეს, იმ აღებული ფულით კიდევ შვეიცარია-ავსტრიის სასტუმროებში ყოფნა გაუხანგრძლივეს თავიანთ გულშემატკივარს. არ გეკადრება ამხელა კაცს სტადიონზე კოტრიალი, მაინც ასაკში ხარ, არ გაცივდე, კაცო, სველია მინდორი!

ZIZI-TOP: „სარბიელს“ გამარჯობა! მოკლედ, ეს ჩემი გერმანია ისე ხომ არ იზამს, სანერვიულო არ გამიჩინოს. რა უნდოდა ამ პორტუგალიასთან, რას გარბოდა?! გაეგორებინა ფრე იმ ხორვატიასთან და...

თუმცა ისიც საკითხავია, მეოთხედფინალში პორტუგალიასთან შეხვედრა ჯობია თუ თურქეთთან. მე მგონი, ორივე ერთი ჭირია — პორტუგალია კარგი გუნდია, თურქეთი კი ყოველთვის თავს იკლავს გერმანიასთან. ასე რომ, ახლა დიდი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე.

ერთი სიტყვით, არ გვეშინია, მაგრამ მარტო არშეშინებაში რომ იყოს საქმე, რა გვიჭირს...

ჰო კიდევ: იტალიის ქომაგებო, გილოცავთ! ეს თქვენთვის ევროპის ჩემპიონობის ტოლფასი გამარჯვებაა და წადით ახლა სახლში, მიუჯექით ინგლისის ფანებს გვერდით!

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტი

იოჰან კრუიფს რა ენაღვლება, ჰოლანდია მეოთხედფინალშია, აი, მის უკენ მიშელ პლატინი რომ ზის... თან უეფას პრეზიდენტისგან გრძნობების სააშკარაოზე გამოტანა ცოტა უხერხულია, არადა, ხომ ხვდებით, მის გულში რა ვარამიც ტრიალებს საფრანგეთის გავარდნის მერე...

აი, ალალი სიხარულიც: ეს გოგო ჯანლუიჯი ბუფონის ცოლი ალიონა სერედოვაა. ლამაზი გოგოა და ქმარიც ხომ მაგარი მეკარე ჰყავს...

ოღონდ სერედოვას იმის მერე გაუხარდა, პირლომ პენალტი რომ გაიტანა — ის პენალტი, მისმა ქმარმა ცრურწმენის გამოისობით რომ არ უყურა. ხოლო იმ პენალტამდე იტალიელი გულშემატკივარი აი, ასე ევედრებოდა უფალს, ღმერთო, ერთი გოლი რა...

და ფრანგები? ასეთი თამაშით ფრანგები ჩემპიონები მაშინ გახდებიან, ამ ჯეელებს მართლა ამხელა წვერი რომ გაეზრდებათ...

და სპორტში მოღვაწე ხალხიც: დიადი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი, კალათბურთელი ტონი პარკერი და მისი ცოლი ევა ლონგორია.



ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

მეოთხედფინალი. დღეს

იოახიმ ლიოვმა ჯადოქრები დაიქირავა

სკოლარის გერმანია არ დაელია

იოახიმ ლიოვი

კრიშტიანუ რონალდუ

„სტ. იაკობ-პარკი“, ბაზელი

პორტუგალია — გერმანია

საპარაუდო შემადგენლობები

პორტუგალია: რიკარდუ ბოსინგვა, პეპე, რიკარდუ კარვალიუ, პაულუ ფერეირა; პეტიტი; დეკუ, ფიგუ, მოუტინიუ; სიმაუ, კრიშტიანუ რონალდუ, ნუნუ გომესი

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

გერმანია: ლემანი; ლამი, მერტეზაკერი, მეცელდერი, ფრიდრიხი; შვაინშტაიგერი, ფრინგსი, ბალაკი, პოდოლსკი; კლოზე, გომესი

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

ლუიშ ფელიპე სკოლარი ბუნდესნაკრებს ექვს წელიწადში მესამედ გადაეყარა: მსოფლიოს ჩემპიონატის (2002) ფინალში ბრაზილიასთან ერთად რუდი ფიოლერის გერმანიას მოუგო, 2006-ში პორტუგალიით იურგენ კლინსმანის გუნდთან მესამე ადგილისთვის მატჩი წააგო, დღეს კი იოახიმ ლიოვის ნაკრებს შეხვდება.

ეს იქნება ამ გუნდების მეთხუთმეტე მატჩი — ექვსჯერ გერმანიამ იმარჯვა, სამჯერ პორტუგალიმ და ხუთიც ფრედ დასრულდა.

ევროპის ჩემპიონატებზე პორტუგალია გერმანიასთან არ დამარცხებულა: 1984 წელს უგოლოდ დაუზავდა, 2000-ში კი 3:0 მოუგო.

მიხაელ ბალაკის აზრით, ფავორიტი პორტუგალიაა.

„ვფიქრობ, რომ ჩვენ მეორე ნომრად ვითამაშებთ — განაცხადა ნაკრების კაპიტანმა — ვინ იცის, ეგებ ეს უკეთესიც იყოს. ბევრ პორტუგალიელს ვიცნობ, არამარტო „ჩელსიდან“, არამედ იმ მატჩებიდანაც, რომლებშიც მათ წინააღმდეგ მითამაშია.

უმაღლესი კლასის ოსტატები ჰყავთ, საუცხოოდ უტევენ, მაგრამ დაცვას მთლად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ძლიერი ნაკრებია და რა თქმა უნდა, კრიშტიანუ რონალდუს გამოვარჩევ, რომელსაც პრემიერლიგაში საუცხოო სეზონი ჰქონდა.

ძალიან გვიხარია მეოთხედფინალში გასვლა, რადგან ხორვატიასთან წაგების შემდეგ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდით. ავსტრიასთან ფავორიტებად ვითვლებოდით, მაგრამ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვიყავით და ამიტომ შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინეთ.

მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე პორტუგალია დავამარცხეთ და ვიმედოვნებ, რომ ამჯერადაც მოვახერხებთ. საამისოდ კი გაცილებით უკეთ უნდა გავისარჯოთ, ვიდრე ავსტრიასთან.

იენს ლემანი: „პორტუგალიაზე ერთი დღით ნაკლები დასვენება გვიწევს, მაგრამ ზოგჯერ დიდი დასვენება სჯობს, ზოგჯერ კი მოკლე, რათა გუნდი რიტმიდან არ ამოვარდეს. ჯერ ვერავინ იტყვის, როგორ ფორმაში ვიქნებით ხუთშაბათისთვის.

რაც შეეხება რონალდუს, მას მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. პორტუგალიას ბევრი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავს და ეს ჩვენს ამოცანას ართულებს. მიუხედავად ამისა, ნახევარფინალში გასვლის იმედი მაქვს.

ამ მატჩში ბევრი რამ ფიზიკურ მომზადებაზე და ტაქტიკაზე იქნება დამოკიდებული. მე პენალტებისთვისაც ვემზადები, მაგრამ მირჩევნია, ძირითად დროში მოვიგოთ“.

კრიშტიანუ რონალდუმ კი თანაგუნდელები გააფრთხილა, რომ მეოთხედფინალში შეცდომის უფლება არ ექნებათ.

„უნდა გავითავისოთ, რომ ასეთ მატჩებში შეცდომა ძვირად ფასობს და ამიტომ თავიდან ბოლომდე მაქსიმალური ყურადღება გვმართებს — ბრძანა რონალდუმ — ადვილად გავედით ჯგუფიდან, მაგრამ გერმანიასთან იოლ თამაშს არ ველით. ავსტრიასთან მათი შეხვედრა ვნახე და საკმაოდ კარგად გამართული ნაკრებია.

ორივეს თანაბარი შანსი გვაქვს. პორტუგალია უფრო ტექნიკურია, გერმანია კი ღონიერი.

ეს გუნდი, თუნდაც საუკეთესო ფორმაში არ იყოს, მაინც სახიფათოა, თუმც კოზირები ჩვენც გვაქვს. მოტივაცია აქ არცერთ ნაკრებს არ აკლია და მეტოქეზე ერთი დღით მეტი რომ დავისვენეთ, შესაძლოა, ამანაც მცირე უპირატესობა მოგვცეს“.

არმანდუ პეტიტის აზრით, პორტუგალიის უპირატესობა რონალდუს ნიჭშია: „ბედნიერებაა, რომ გუნდში ასეთი ფეხბურთელი გვყავს. როცა იგი იშტაზეა, ჩვენც უფრო თავდაჯერებულები ვხდებით“.

დეკუმ კი თქვა: „პორტუგალიის სათამაშო ყაიდიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ გერმანიას ჩვენნაირ გუნდებთან უფრო უადვილდება თამაში, ვიდრე, მაგალითად, ხორვატიასთან“.

ლუიშ ფელიპე სკოლარი: „ხორვატიასთან რომ ვნახეთ, ის არ იყო ნამდვილი გერმანია. ეს გუნდი სასწაულად ბრძოლისუნარიანია და დარწმუნებული ვარ, ჩვენს წინააღმდეგ სულ სხვა განწყობით გამოვა“.

იოახიმ ლიოვი: „ბევრად უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე ავსტრიასთან. კარგი იქნებოდა, ჩვენც პორტუგალიასავით ოთხი დღე დაგვესვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერაფერს მოვუხერხებთ.“

დღევანდელი მატჩისთვის „სენტ იაკობ-პარკზე“ საფარი გამოცვალეს. ეს სტადიონი ჯერ თურქეთის და შვეიცარიის გუნდებმა გადაჯეგეს წვიმაში, მერე კი, გასულ შაბათს, პორტუგალიამ და შვეიცარიამ. ბალახი შესაცვლელი გახდა, სამუშაო კვირას დაიწყეს და სამ დღეში დაასრულეს.

პორტუგალიამ გუშინ ივარჯიშა ახალ საფარზე, გერმანიამ კი არ ისურვა ბაზელში ჩასვლა და თავის ბაზაზე დარჩა. ბუნდესნაკრები განახლებულ ბალახზე ფეხს პირველად დღეს, მატჩისწინა გასახურებელ ვარჯიშზე შედგამს. გერმანიის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა შტეფან ბრაუსემ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ნაკრების შეფებმა მიიღეს.

მისმა „უეფელმა“ კოლეგამ კი აღნიშნა, რომ ტურნირის მსვლელობისას ბალახის შეცვლა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა.

განახლებულ საფარზე კი დღეს ეგებ, ლუკაშ პოდოლსკი და ტორსტენ ფრინგსი ვერ ვნახოთ.

იოახიმ ლიოვის თქმით, ფორვარდს ავსტრიასთან მატჩში წვივის კუნთი ეტკინა და ამიტომაც არ გამოუვიდა თამაში. პოდოლსკი ნახევარზე მეტი გერმანიაა, რადგან გუნდის ოთხი გოლიდან სამი მის ანგარიშზეა.

ტრავმირებულია ნახევარმცველი ტორსტენ ფრინგსიც. მას ნეკნი აქვს გატეხილი და ექიმები ჯადოქრობენ, რომ ეს ფეხბურთელები სადღეისოდ ჯანზე მოიყვანონ.

ბასტიან შვაინშტაიგერმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს.

პორტუგალიას კი ტრავმირებული არ ჰყავს. ერთი ეგაა, რონალდუს ცოტა კუნთი აწუხებდა და მალევე მოაფერიანეს.

და ბოლოს, იოახიმ ლიოვმა აპელაცია კი შეიტანა, მაგრამ ამაოდ — ავსტრიელებთან მატჩში მეხუტო გონსალესის მიერ ტრიბუნაზე გაძევებულ მწვრთნელს მეოთხედფინალის გატარებაც იქვე მოუწევს...

ვაჟა ხუციშვილი

პორტუგალია – გერმანია

14	მატჩი	14
3	მოგება	6
5	ფრე	5
6	წაგება	3
14	გოლები	18

გზა მეოთხედფინალამდე

პორტუგალია

პორტუგალია 2:0 თურქეთი
1:0 პეპე (61), 2:0 რაულ მეირელეში (90)

ჩეხეთი 1:3 პორტუგალია
0:1 დეკუ (8), 1:1 სიონკო (17), 1:2 კრიშტიანუ რონალდუ (63), 1:3 კუარეშმა (90)

შვეიცარია 2:0 პორტუგალია
1:0, 2:0 ჰაქან იაქინი (71, 83პ)

გერმანია

გერმანია 2:0 პოლონეთი
1:0, 2:0 პოდოლსკი (20, 72)

ხორვატია 2:1 გერმანია
1:0 სრნა (24), 2:0 ოლიჩი (62), 2:1 პოდოლსკი (79)

ავსტრია 0:1 გერმანია
0:1 ბალაკი (49)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი. III ტური

№23 საბერძნეთი 1:2 ესპანეთი

18 ივნისი. ზალცბურგი (ავსტრია). „პალს-ზიცენჰაიმი“. 30 883 მაყურებელი

1:0 ხარისტეასი (42), 1:1 დე ლა რედი (61), 1:2 გუისა (88)



შეცვლა: ინიესტა – 12. ჯასორლა (58), ჯირიაკოსი – 19. ანცასი (62), ჯარაგუნისი – 22. ციოლისი (74), სალპინგიდისი – 8. გიანაკოპულოსი (86)

გაფრთხილება: ჯარაგუნისი (34), გუისა (41), არბელოა (45), ბასინასი (72), ვინტრა (90)

მსაჯები: ჰოვარდ ვები (ინგლისი); დარენ ჯენი (ინგლისი), მაიკლ მალარეი (ინგლისი)

16	ჯარიმა	18
1	კუთხური	5
6	ჯარისკენ დარტყმა	12
3	ჯარში დარტყმა	5
4	თამაშგარე	1
26,28 წთ	ბურთის ფლობა	33,3 წთ
44%	ბურთის ფლობა	56%

ვინ რა თქვა

ხაბი ალონსო: „პირველი ტაიმით მაინცდამაინც კმაყოფილები არ ვართ, თუმცა მერე თამაში გამოვასწორეთ და მოგებაც შევძელით. ახლა ის დროა, იტალიაზე ფიქრი დავიწყოთ.“

ლუის არაგონესი : „როგორც ნახეთ, შემადგენლობაში 23 ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელი მყავს. მეორე ტაიმში ძალიან კარგი, ჭკვიანური ფეხბურთი ვითამაშეთ.“

ოტო რეჰაგელი: „თამაშამდე ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, ევროპის ჩემპიონატს თავაწეულები, კარგი თამაშით უნდა დავემშვიდობოთ-მეთქი. როგორც ნახეთ, ფეხბურთელებმა ასეც გააკეთეს.“

ესპანელთა ხუთივე კუთხური სესკ ფაბრეგასმა ჩააწოდა, ხოლო ბერძნების ერთადერთი კუთხური — გიორგიოს კარაგუნისმა.

იანის ამანატიდისი სამჯერ ჩარჩა თამაშგარეში.

სულ მატჩში 38 შეტევა განხორციელდა, რომელთაგან უმეტესობა მარჯვნიდან იყო — 19. მარცხნიდან —6, ხოლო შუიდან 16 შეტევა განხორციელდა.

ანტონის ნიკოპოლიდისმა ორი დარტყმა მოიგერია, პეპე რეინამ — ერთი.

სხვებზე მეტჯერ კარაგუნისი დაჯარიმდა (6), სხვებზე მეტად კი იმავ კარაგუნისს და სერხიო გარსიას ეუხეშნენ (5-5).

კარში ორ-ორჯერ დაარტყეს დანიელ გუისამ და ანგელოს ხარისტეასმა.

კარისკენ და კარში ჯამში ყველაზე მეტჯერ რუბენ დე ლა რედმა დაარტყა (7).

ჯამური 991 პასიდან 101 პასი სესკ ფაბრეგასის გახლდათ. მან ყველაზე მეტჯერ ბურთი ხაბი ალონსოს მიაწოდა (17).

დანიელ გუისა

მეფობიდან შიკრიკობამდე

ოტო რეჰაგელის ბერძ-ნულები

ხეტაფელმა რუბენ დე ლა რედმაც და მალიორკელმა დანიელ გუისამაც თავიანთი პირველი სანაკრებო გოლები მიითვალეს. გუისა უკვე სახელდაგდებული ფეხბურთელი, პრიმერა დივიზიონის გასული სეზონის ბომბარდირია, მაგრამ აკი თქვა კიდეც ელინელებთან მატჩის წინ, მე დავიდ ვილიამდე და ფერნანდო ტორესამდე ბევრი მიკლია, ამიტომ ევროპის ჩემპიონატზე ერთი გოლიც რომ გავიტანო, ღმერთს მადლობას შევწირავო.

გაიტანა და თან გადამწყვეტი: 88-ე წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებულს თავი შეაგება და ესპანეთი ხორვატია-ჰოლანდიის გვერდით დააყენა — სამივე ამ ნაკრებს ჯგუფში ქულა არ დაუკარგავს.

„ფურია როხას“ მეორე შემადგენლობა ჰყავდა და მთლად ოპტიმალური კრებული არც ოტო რეჰაგელს გამოუყვანია. მხცოვანი სპეციალისტების დუელი მაინც უხიაკი ხასიათის ლუის არაგონესმა მოიგო და ნეტავ, ვის უნდა გაუკვირდეს — ესპანეთის მეორე კი არა, მესამე ნაკრებიც სჯობია დღევანდელ საბერძნეთს, რომელსაც, შთაბეჭდილება დაგვრჩა, ამ ევროპაზე მხოლოდ დიდი ანგარიშებით არწაგება ამოეჭრა გულში. თვალწინ გვიდგას შვედებთან პირველი შეხვედრა, როცა ელინელები პირველივე ტაიმში (როცა 0:0 იყო) გაუთავებლად აგორებდნენ ბურთს საკუთარ საჯარიმოსთან და წინ, თითქოს მგელი აბიაო, შეტევას არც ცდილობდნენ. კიდევ კარგი, ეს ჩემპიონატი ანტიფეხბურთს სპობს, მაგრამ გული კი გვწყდება ევრო-2004-ის გამო. რა გუნდი ჰყავდათ ჩეხებს და პორტუგალიელებს, ბოლოს კი ვინ გახდა ჩემპიონი...

გუშინდელს მივხედოთ და ცოტა გასაკვირი იყო გუნდების უხეში თამაში. რამდენჯერმე მსაჯმა თვალი დახუჭა, თორემ გაცილებით მეტი ყვითელი ბარათის ამოღება შეიძლებოდა. განსაკუთრებით ბერძენი გეორგიოს კარაგუნისი აქტიურობდა, თუმც ფუტკარივით მობზრიალე ნახევარმცველი შეტევების წამოწყებასაც ახერხებდა.

და, აი, ბერძნების პირველი გოლი ჩემპიონატში: პირველი ტაიმის ბოლოს ანგელოს ხარისტეასს რატომღაც არავინ „კეტავდა“ და მანაც თავურით გახსნა ანგარიში.

უფერული ტაიმის შემდეგ „ფურია როხა“ გამოფხიზლდა, კარგად ათამაშდნენ დე ლა რედი და კაპიტანი ხაბი ალონსო, „ბებერმა“ არაგონესმა მათ სანტი კაზორლაც შეაშველა და ბერძნების საჯარიმოში მაგრად „დაცხა“. ჰო, კაზორლა კი მართლაც აღსანიშნა კაცია, მესამე შეხვედრაა, შეცვლაზე შედის და პეწს აძლევს ესპანელთა თამაშს. ჩია ვილიარეალელის შესვლა და დე ლა რედის გამთანაბრებელი გოლი ერთი იყო — ხეტაფელმა მაღალ კუთხეში ლამაზად გაუტანა ანტონის ნიკოპოლიდისს, რომელმაც ნაკრებში ბოლო, 90-ე მატჩი ჩაატარა.

ბოლო ნახევარ საათში ესპანელები უფრო უტევდნენ და თავისი გაიტანეს კიდეც, ბერძნები კი წინა ევროპის პოლარულად საპირისპირო, ბოლო ადგილით ტოვებენ არა მარტო ჯგუფს, არამედ ჩემპიონატსაც — ნული ქულა და დაღვრემილი სახეები..

.ბერძენელებისთვის კი ეს იყო, ალბათ, ყველაზე უმნიშვნელო ოფიციალური შეხვედრა — რა დროს საბერძნეთთან მოგებით ტკბობაა, როცა წინ 22 ივნისი და იტალიასთან ჯახია. აი, თამაშიც ეს იქნება, თორემ გუშინდელი მატჩი...

ილია ნანობაშვილი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი. III ტური

№24 რუსეთი 2:0 შვედეთი

18 ივნისი. ინსბრუკი (ავსტრია). „ტივოლი ნოი". 30 000 მაყურებელი

1:0 პავლიუჩენკო (24), 2:0 არშავინი (50)



შეცვლა: ანდერსონი – 19. ჯალსტრიომი (56), ბილიალეტდინოვი – 9. საენკო (66), ნილსონი – 20. ოლბაკი (79), პავლიუჩენკო – 23. ბისტროვი (90)

გაფრთხილება: კოლოდინი (76), არშავინი (65), სემაკი (57), ელმანდერი (49), ისაკსონი (10)

მსაჯები: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია); ჰეტერ ჰერმანსი (ბელგია), ალექს ვერსტრატენი (ბელგია)

14	ჯარიმა	15
12	კუთხური	4
11	ჯარისკენ დარტყმა	6
9	ჯარში დარტყმა	7
1	თამაშგარე	2
31,12 წთ	ბურთის ფლობა	24,39 წთ
55%	ბურთის ფლობა	44%

ვინ რა თქვა

გუს ჰიდინკი: „ჩვენ უკვე გვაქვს სიამაყის საფუძველი, რადგან ბევრის მოლოდინის საწინააღმდეგოდ მეოთხედფინალში გავედით. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ მეტის მიღწევაც შეგვიძლია. ახლა ჰოლანდიას ვხვდებით და ჩვენი პრობლემა ის არის, რომ დასავენებლად და მოსამზადებლად მხოლოდ ორი დღე გვაქვს. თანაც ჯგუფის ბოლო მატჩში ჰოლანდიამ მეორე შემადგენლობა ათამაშა, რაც ნიშნავს, რომ მათ ძირითად შემადგენლობას მოსამზადებლად ხუთი დღე აქვს."

ლარს ლაგერბეკი: „რუსებს კარგი გუნდი ჰყავთ და გამარჯვებას ვუ-ლოცავ. თავიდან პასიურები ვიყავით, რაც ჩვენს გეგმებში არ შედიოდა და ეს პასიურობა მეტოქემ გამოიყენა. გუნდში რამდენიმე ასაკიანი ფეხბურთელი გვყავს და ვფიქრობ, ზოგი სანაკრებო კარიერასაც დაასრულებს."

კარში სხვებზე მეტჯერ ანდრეი არშავინმა და რომან პავლიუჩენკომ დაარტყეს (3-3), ხოლო კარისკენ იური ჟირკოვმა ოთხჯერ გაისროლა.

კონსტანტინ ზირიანოვმა და იური ჟირკოვმა ექვს-ექვსი კუთხური ჩააწოდეს. თამაშგარეში თითოჯერ ჩარჩნენ ანდრეი არშავინი, ჰენრიკ ლარსონი და იოჰან ელმანდერი.

ანდრეას ისაკსონმა 7 დარტყმა მოიგერია, იგორ აკინფეევის ანგარიშზე კი ექვსი სეივია. ხუთჯერ დაჯარიმდა რომან პავლიუჩენკო, ოთხჯერ — ზლატან იბრაჰიმოვიჩი. ხუთჯერ ეუხეშნენ ფრედი ლიუნგბერგს.

მატჩში გაკეთებული 807 პასიდან 70 პროცენტი ზუსტი გამოდგა.

ანდრეი არშავინის (№10) გოლი

თავსატეხი: გაიხსენეთ ასეთი უსუსური შვედეთი

ასეთი უსუსური შვედეთის ნაკრები ალბათ ძნელი გასახსენებელია. სკანდინავიელებს ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ რუსებმა თავიდანვე მოიპოვეს ინიციატივა და, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, გადაუარეს მეტოქეს.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი ტრავმის მიუხედავად მინდორზე იყო, მაგრამ ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, ლარს ლაგერბეკი, რომელსაც მატჩის გასაძლიერებლად არც საკმარისი იდეები აღმოაჩნდა და არც რესურსი, მას ბოლომდე ენდო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

რუსების შემადგენლობაში გამოჩნდა ანდრეი არშავინი, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა და მინდორზე მის გასვლას ყველა დიდი ინტერესით ელოდა. 27 წლის ფეხბურთელმაც მოლოდინი სრულად გაამართლა, საკმაოდ აქტიური გახლდათ, ჭკვიანურად თამაშობდა და გოლიც გაიტანა.

თავიდანვე შეტევებზე გადასულმა რუსებმა საწადელს 24-ე წუთზე მიაღწიეს, როცა ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს და საბოლოოდ შეტევაში ჩართული ალექსანდრ ანიუკოვის პასით რომან პავლიუჩენკომ იხეირა.

რუსები ამან არ დააცხრო და მათაც იერიშები განაგრძეს. თუმცა შუალედში იყო შვედების ერთი მომენტი, რომელიც ვეტერანმა ჰენრიკ ლარსონმა მოიგონა, მან კარისკენ ზურგით მდგომმა დიდებულად დაარტყა თავით და მთელი მატჩისა და ზოგადად ტურნირის მანძილზეც მშვენივრად მოთამაშე იგორ აკინფეევი უძლური იყო, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

ცოტა ხანში ხარიხა გუს ჰიდინკის შეგირდებმაც შეაზანზარეს — პავლიუჩენკოს მშვენიერი მომენტი ჰქონდა, მაგრამ დუბლამდე მილიმეტრები დააკლდა. ამას მოჰყვა ანდრეას ისაკსონის ყოჩაღობა, თორემ ანგარიში შესვენებამდე გახდებოდა 2:0.

რუსები, შესაძლოა, ნაადრევად მოდუნდნენ და ამის გამო ტაიმის მიწურულს შვედებმა ორი მეტ-ნაკლებად მწვავე მომენტი შექმნეს. განსაკუთრებით მახვილი კუთხიდან აკინფეევთან ნილსონის პირისპირ გასვლა უნდა გამოვარჩიოთ, მაგრამ რუსთა გოლკიპერი აქაც შეუვალი გახლდათ.

ეს იყო და ეს, სკანდინავიელებს მეტი არაფერი შეუქმნიათ.

ჰიდინკს საქმე ისედაც კარგად მისდიოდა, მაგრამ როგორც ჩანს, შესვენებაზე კარგად აუხსნა შეგირდებს, რაში იყო პატარ-პატარა პრობლემები და რუსები მინდორზე კიდევ უფრო სოლიდურად დაბრუნდნენ. მათ არც ტაქტიკა დაეწუნებოდათ და არც სხვა რამ, თუ ერთი-ორ სულელურ შეცდომას არ ჩავუთვლით.

მეორე გოლი პირველზე არანაკლებ ლამაზი გამოვიდა. მორიგ შესანიშნავ კომბინაციას დამაგვრგვინებელ ფაზაში იური ჟირკოვის კარგი პასი და ვარდნაში არშავინის უბადლო დარტყმა მოჰყვა.

ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა შვედებმა, როგორც აღვნიშნეთ, ვერაფერი შემოგვთავაზეს. რუსებმა კი კიდევ ბევრი მომენტი შექმნეს, ერთხელ ბურთი ძელს მოხვდა, ერთ ეპიზოდში პავლიუჩენკომ რატომღაც ფეხი ვერ მოიქნია წესიერად, არადა, უეჭველად უნდა გაეტანა, მატჩის მიწურულს კი ისაკსონთან პირისპირ გასულმა არშავინმა ვერ ივარგა.

სხვათა შორის, ჰიდინკი სწორედ მომენტების გამოუყენებლობას უჩიოდა და მიუხედავად ამ დამაჯერებელი მოგებისა, ეს პრობლემა რუსეთის ნაკრებში კვლავ რჩება. ძნელად სავარაუდოა, რუსებს ჰოლანდიელებთან ძალიან ბევრი მომენტი ჰქონდეთ და რაც შეექმნებათ, თუ ისიც ვერ გამოიყენეს... თუმცა შვედებთან ნაჩვენები თამაშის მიხედვით, ჰიდინკი და მისი შეგირდები „ნარინჯისფერებთან" უშანსოდ სულაც არ არიან.

გიორგი კაკაბაძე

ესპანეთი	3	3	0	0	8:3	9
რუსეთი	3	2	0	1	4:4	6
შვედეთი	3	1	0	2	3:4	3
საბერძნეთი	3	0	0	3	1:5	0

ბომბარდირები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	4
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ჰაქან იაკინი (შვეიცარია)	3

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge